ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 11 თებერვალი, 2022 | №30 (8808) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

სუს-ის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა ორი ტელეკომპანიის და ლევან ხაბეიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

უკრაინის პოლიციამ ზურაბ ადეიშვილზე თავდასხმაში მონაწილე ერთ-ერთი პირი დააკავა

გვ.5

„ცვლილებების დრო! სისტემის ლპობა დაწყებულია“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „ძალოვან მინისტრებს ივანიშვილის სურვილის გარეშე ვერავინ მოხსნის“

„ლარის კურსი ხელოვნურად მყარდება“

გვ.3

ნიკა შენგელია: „თუ ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ ლარის კურსი 2.8-2.9-ის ფარგლებში დაიჭირეს, გაზაფხულზე ფასები 4-12%-ის ფარგლებში შემცირდება“

გვ.3

„კრუხის როლში გამოსვლა და მოწოდება ფრთებქვეშ შემოდითო, კორექტული არ არის“

ლევან ალაფიშვილი: „ბადრი ჯაფარიძისთვის იმუნიტეტის მოხსნაზე „ქართული ოცნება“ ფრთხილად უნდა იყოს“

ინალ არძინბამ გაეროს მიმართა

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ბჟანია იტალიელი დეპუტატების წინაშე გამოვიდა

გვ.4

„თუ რუსეთს ჩაარტყეს თავში და დაშლა დაიწყო, ჩვენც გვეშველება“

გურამ ვახტანგაშვილი: „ყველაფერი ჩვენთვის უარესობისკენ მიდის. ჯერჯერობით, ჩვენ სასარგებლოდ არაფერი ხდება“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 ირაკლი კობახიძე: „ყველამ იცის, რომ არავის უწამებია მიხეილ სააკაშვილი“

5 სტრასბურის სასამართლომ პოლიციელის მიერ მოკლული 19 წლის სალომე ჯორბენაძის საქმეზე დარღვევა დაადგინა

5 გლდანში „სპარი“ გაძარცვეს

6 რაზე შეთანხმდნენ პუტინი და მაკრონი

„ცვლილებების დროა! სისტემის ლპობა დაწყებულია“

ლადო სადღობელაშვილი: „ძალოვან მინისტრებს ივანიშვილის სურვილის გარეშე ვერავინ მოხსნის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, გუშინ პრემიერმა ეკონომიკური გუნდი შეცვალა. საკმაოდ დიდი ხანი საუბრობდნენ ნათია თურნავას მოხსნაზე, თუმცა ვისმენდით შეფასებებს, ისეთი „კრიშა“ ყავს, ვერ ერევა პრემიერიო. რა მოხდა ახლა? პრემიერი საკუთარ გუნდს აძლიერებს თუ რასთან გვაქვს საქმე?

– ღარიბაშვილი რომ მოვიდა პრემიერად, გახარიას შემდეგ, მე მაშინვე ვთქვი თქვენთან ინტერვიუში, რომ ერთ-ერთი გაშვების კანდიდატი არის თურნავა-მეთქი. მე თუ მკითხავთ, ამ ქალმა კიდევ კარგად გაძლო ეს ერთი წელი. მოდი პირდაპირ ვთქვათ, რომ ამ ცვლილებას მე ვთვლი ღარიბაშვილის გაძლიერებად, რადგან თურნავა არ იყო ღარიბაშვილის კადრი. ახალი სოფლის მეურნეობის მინისტრი, რა თქმა უნდა, ღარიბაშვილის კადრია, ხოლო რაც შეეხება დავითაშვილს, დავითაშვილი არის პიროვნება, რომელიც თურნავას ყველა შეხვედრაზე და დიდ პროექტებში ყველგან თან დაყვებოდა.

– დავითაშვილი ვისი კადრია? არის თუ არა ღარიბაშვილის კადრი?

– სიმართლე გითხრათ, დავითაშვილი არ მგონია ღარიბაშვილის კადრი. უფრო ბიძინას კადრია. რაც შეეხება ნათია თურნავას, მის მიმართ არსებობდა ბევრი პრეტენზია, რომელიც სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა. ნამახვანჰესის აქციების დროს, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ გადამდგარიყო ქალბატონი თურნავა. ბევრ მაქინაციასა და კორუფციაში დებდნენ მას ბრალს და ხშირად ითხოვდა სხვადასხვა ჯგუფი მის გადადგომას. კი ამბობდა პრემიერი, ეკონომიკა დუღს და თუხთუხებსო, მაგრამ ეს მხოლოდ ციფრებად რჩებოდა. იმდენი პრეტენზია დაგროვდა ამ ქალბატონის მიმართ, რომ ვერც მისმა ე.წ. „კრიშებმა“ ვერ უშველა.

– ჩხარტიშვილი „კრიშავსო“ სულ ამბობდნენ და რა მოხდა, ჩხარტიშვილსაც შეერყა პოზიციები ივანიშვილის კარზე?

– ჯერ რთულია ამ დეტალებზე საუბარი, გუშინ განხორციელდა ეს ცვლილება და ახლა საუბარი იმაზე, აბა როგორ არის და რა არის, რთულია.

– ეს იყო ღარიბაშვილის პირადი გადაწყვეტილება თუ ივანიშვილის ჩარევით განხორციელდა ეს ცვლილებები?

– მე სწორედ ამიტომ გავამახვილე ყურადღება და აღვნიშნე, რომ დავითაშვილი ყველა სერიოზულ შეხვედრაზე დაყვებოდა თურნავას, იქმნებოდა წარმოდგენა, რომ ეს ადამიანი კონტროლს ახორციელებდა ქალბატონ თურნავაზე და მის ყველა საქმიანობასა და გადაწყვეტილებაში მონაწილეობდა. უკვე ლოგიკურად ვხვდებოდით, რომ თურნავას შემცვლელი თუ ვინმე უნდა ყოფილიყო, ეს იქნებოდა დავითაშვილი.

„უგულავა პოლარიზაციას უწყობს ხელს. „ოცნების“ თამაშს თამაშობს“

– ძალიან ცუდი მემკვიდრეობა დახვდა ახალ ეკონომიკის მინისტრს, ნორმალური ხელისუფლება რომ ყავდეს ქვეყანას, ეკონომიკის მინისტრი აქამდე უნდა შეეცვალა და მთავრობაც მთლიანად უნდა გადამდგარიყოო. ამაზე რას იტყვით?

– სამწუხაროდ, ყველა ეკონომიკის მინისტრს ხვდება ხოლმე მძიმე მემკვიდრეობა, ზოგი ამას ოდნავ აუმჯობესებს. ჩვენ პროფესიონალებიც გვინახავს ამ თანამდებობაზე და ვერც პროფესიონალებმა გაამართლეს. ეკონომიკის მინისტრის ცოდნის და პროფესიონალიზმის ბრალი კი არ არის ეს მდგომარეობა საქართველოში, ეს სისტემური მიდგომაა. უსახლკარო ადამიანები მიწის ნაგლეჯის დაკანონებას ითხოვენ ქვეყანაში და ამ თხოვნას არ უსრულებს მათ ხელისუფლება, მაშინ როცა, ჩინოვნიკებმა უკვე აღარ იციან, სად წაიღონ ამდენი ქონება. ესენი მდიდრდებიან უსაზღვროდ, ხალხი უსახლკარო და მშიერ-მწყურვალია. ჰექტრობით მიწებს ითვისებენ, იჯარით გასცემენ და ასხვისებენ.

– მეუღლეებს ტყეებს ჩუქნიან...

– დიახ, მეც მანდ ვარ, სწორედ მაგისკენ მიმყავს საუბარი. ზოგი ამას კარგად მალავს, არ მჟღავნდება და ზოგიც ვერ მალავს. უმძიმესი სოციალური ფონია ქვეყანაში. ვინ იქნება ეკონომიკის მინისტრი, ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს.

– საშინელი ფასები, სიღარიბე, სიდუხჭირე, სიტუაცია ხომ არ მივა სოციალურ აფეთქებამდე?

– აი მაგას ვამბობ ზუსტად. თუნდაც საწვავის თემა ავიღოთ. იმიტომ მაინცდამაინც საწვავი, რომ სწორედ მის ფასზეა მერე მიბმული ძალიან ბევრი რამის ფასი.

– ლარი მყარდებაო, ფასები კი ზევით მიდის და ეს რა პოლიტიკაა?

– ეს რანაირად ხდება, ჩემთვის გაუგებარია. ერთ-ერთი დეპუტატის და „ქართული ოცნების“ წევრის კომპანიაა გალფი. დღეს შეგნებულად ვიკავებ თავს და არ ვასახელებ. ასევე ვიცით, ვინ არის ვისოლის ხელმძღვანელი და ისიც ვიცით, რომ გახარიას კარის ბიზნესმენები იყვნენ. ბენზინის ფასი კომპანიებს შორის შეთანხმების საგანია და ეს ყველაფერი კი თავიდან ბოლომდე, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მთავრობაზე და ეს შეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოდიოდეს მთავრობიდან. თუმცა ვხედავთ, რომ მთავრობას ეს არ ანაღვლებს. რაც შეეხება სოციალურ აფეთქებას, თუ არა პოლიტიკა, ალბათ ყველაზე ცხელი წერტილი სოციალური პრობლემატიკაა ქვეყანაში. კი, მართალია, ლარი მყარდება, მაგრამ ეს მყისიერად ვერ აისახება ვერც ერთი პროდუქტის ფასზე. ასევე, სერიოზული პრობლემაა ეს გაზრდილი კომუნალური გადასახადები. გაორმაგებული და გასამმაგებული, რომ იტყვიან. აქ პუჩისტური ხასიათი იკვეთება. დავიჯერო, ამას მთავრობა ვერ აკონტროლებს?!

– რა ხდება, მიზანმიმართულად აღიზიანებენ მოსახლეობას?

– პუჩისტური ხასიათი იკვეთება. როგორ დავიჯერო, ამას მთავრობა ვერ აკონტროლებს? და თუ ვერ აკონტროლებს, მაშინ კეთილი ინებოს და გადადგეს! მიზანმიმართულად აღიზიანებენ ხალხს. მე ერთი წლის წინაც ვსაუბრობდი ამაზე, რომ კრიზისიდან გამოსავალი არის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. კეთილი ინებოს მთავრობამ, ოპოზიციამ და მოძლიერდეს. ან საერთოდ რომელ ოპოზიციაზეა საუბარი, ენდიანი გვეუბნება რომ ხალხს ნდობა აღარ აქვს ოპოზიციის მიმართო.

– ძალიან მაღალია იმ ამომრჩევლის რიცხვი, რომელსაც არც ერთი არ უნდა, არც პოზიცია და არც ოპოზიცია.

– ვინც თვალს ადევნებს პროცესებს, ძალიან ადვილად მიხვდება, რომ ხალხში არის აბსოლუტური ნიჰილიზმი. ამ სიტუაციას ვადარებ 2011 წელს, მაშინაც ზუსტად ასეთი ნიჰილიზმი სუფევდა, როგორიც ახლა.

– ანუ მომწიფდა სიტუაცია პოლიტიკური ცვლილებებისთვის?

– დღეს საკმაოდ მომწიფებულია საამისოდ სიტუაცია.

– უკეთესი ძალა რომ არ ჩანს? ვის შორის უნდა გააკეთოს ხალხმა არჩევანი?

– ქვეყანაში არის სისტემური პრობლემა და როდესაც სისტემური პრობლემაა, მაშინ ეს მთავრობა მთლიანად უნდა შეიცვალოს იმისთვის, რომ ეს სისტემური პრობლემა მოიხსნას.

– ლადო, სამთავრობო ცვლილებებზე ვსაუბრობდით და ითქვა, რომ კიდევ ორი მინისტრის მოხსნა იგეგმება ზალკანიანის და ლილუაშვილისო. ამაზე თუ გაქვთ ინფორმაცია?

– ამაში მოულოდნელი არაფერი არ არის. კიდევ დიდხანს გასტანეს მათ თანამდებობებზე. რაც შეეხება ლილუაშვილს, მე ეჭვი მეპარება, რომ ის მოხსნან. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ჭორია. ძალოვანი მინისტრები, როგორც ასეთი, ასე ადვილად არ იხსნებიან. ბიძინა ივანიშვილის სურვილის გარეშე, რთული იქნება ამ ადამიანების მოხსნა. ეს ხალხი არ არის არც ღარიბაშვილის, არც კვირიკაშვილის და არც გახარიას დანიშნული. ეს მინისტრები არიან ივანიშვილის მიერ დანიშნულები და მისი ნებართვის გარეშე ვერავინ მოხსნის. რა თქმა უნდა, დღეს ძალოვანი მინისტრების მიმართაც არსებობს ბევრი კითხვა.

– ბოლო პერიოდში განსაკუთრებით...

– თვალყურს ვადევნებთ და ბოლო პერიოდში პოლიცია უშვებს შეცდომებს, საკმაოდ გამკაცრებულია საზოგადოების მიმართ. მე არ ვურჩევდი მმართველ პარტიას და ძალოვან მინისტრებს ასეთ დამოკიდებულებას. ასევე ჯარიდანაც ბევრი არასასიამოვნო ინფორმაცია ჟონავს. მოჭამა თავის დრო ამ კორუმპირებულმა ხალხმა და, შესაბამისად, ქვეყანაც დგას ამ ჭაობში.

– ამოწურა ამ ხელისუფლებამ ყველა შესაძლებლობა და უნდა შეიცვალოს?

– კი, ზუსტად ეგრეა. არ შეიძლება 10 წელიწადზე მეტი აქ იყოს ერთი და იგივე მენეჯმენტი. თუმცა საზოგადოებაც რთულ დღეშია, არჩევანის გაკეთება უწევს წარსულსა და აწმყოს შორის, რადგან შუა გაკრეფილია. რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს არ მოსწონს არც ერთი და მოსახლეობის ძალიან დიდი პროცენტი ითხოვს ახალ ძალას, ის აუცილებლად გამოჩნდება პოლიტიკურ ბაზარზე. ეს დრომოჭმული პოლიტიკოსები კი საერთოდ უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან.

– მეორე მხარესაც არავინ ჩანს. გამოდის უგულავა და ისევ ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებას ითხოვს. ეს ხომ პოლარიზებას შეუწყობს ხელს?

– ეს არის შუას გაკრეფის პოლიტიკა. ბატონი უგულავა სწორედ რომ პოლარიზაციას უწყობს ხელს. მე ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, რომ უგულავაც და გიგა ბოკერიაც „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობენ! ესენი არიან „ოცნების“ დამხმარე პოლიტიკური ძალა. ესენი ჩვეულებრივად შეკრულები არიან მმართველ ძალასთან და ახორციელებენ „ქართული ოცნების“ გეგმას. სწორედ იმიტომაც ტივტივებენ პოლიტიკაში და იმიტომაც გამოაგდეს ციხიდან გარეთ უგულავა. თორემ ვინც არ შეეკრა, მაგალითად, ახალაია, კი ზის ისევ ციხეში და მერაბიშვილი, რომელმაც მოიხადა სრულად სასჯელი და საერთოდ გაქრა პოლიტიკიდან. ვინც ტივტივებს, ისინი მოქმედებენ „ოცნების“ ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი ხომ დღესავით ნათელია. ეს არის ერთი ჯოხის ორი ბოლო. ერთი ბოლოა „ოცნება“, ხოლო მეორე ბოლო მიშა სააკაშვილი, ნაცმოძრაობა და თავისი ნარჩენები. საზოგადოებას აღარც ეს ხელისუფლება უნდა და აღარც ძველი! დალპა პროცესი, ამიტომ ეს დამპალი სხეულის ნაწილი თუ არ მოვიკვეთეთ, მთლიანი სხეული დალპება. ამიტომ ვამბობ, რომ ცვლილებების დროა და ეს ცვლილებები აუცილებლად იქნება. აი ნახავთ, პროცესები ელვის სისწრაფით განვითარდება და ქოციც და ნაციც გადაშენდება აქედან. ხალხო, დროა შევეშვათ ნაფტალინიან პოლიტიკოსებს.

ირაკლი კობახიძე: „ყველამ იცის, რომ არავის უწამებია მიხეილ სააკაშვილი“

– ყველამ იცის, რომ არავის უწამებია მიხეილ სააკაშვილი, ეს არის მარტივი ჭეშმარიტება – 10%-იანი შანსია, კომისიას მხარი დაუჭიროს უმრავლესობამ, – ასე პასუხობს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გადაცემაში „თავისუფალი სტუდია“ დასმულ შეკითხვას იმის შესახებ, ტოვებს თუ არა ძალაში რამდენიმე კვირის წინ გაცემულ დაპირებას, რომ თუკი სააკაშვილთან დაკავშირებულ საგამოძიებო კომისიას შექმნის საფრთხე შეექმნებოდა კვორუმის თვალსაზრისით, „ქართული ოცნება“ ხელს შეუწყობდა და დაეხმარებოდა ოპოზიციას, რომ ის შექმნილიყო.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, სამშაბათამდე უმრავლესობის სხდომა ისევ გაიმართება და აღნიშნულ საკითხზე კვლავ იმსჯელებენ, თუმცა საგამოძიებო კომისიის შექმნის მხარდაჭერის 10%-იანი შანსი არსებობს.

– ასეთი დაპირება არც ერთ ჩვენგანს არ გაუცია, ჩვენ საუბარი გვქონდა იმაზე, რომ ამას განვიხილავდით ერთი მარტივი მიზეზის გამო. ყველამ იცის, რომ არავის არ უწამებია მიხეილ სააკაშვილი. ასეთი დაშვება ჩვენ გავაკეთეთ, ეს არის დაშვება იმისა, რომ ასეთ რაღაცაზე შეიძლება, ვიმსჯელოთ.

რაც გამოიკვეთა უმრავლესობის შიგნით პოზიცია, არა მგონია, რომ მხარი დაუჭიროს უმრავლესობამ ამ პოზიციას. ეს არის დღევანდელი მოცემულობა. გვქონდა დისკუსია ამასთან დაკავშირებით უმრავლესობის შიგნით და, საბოლოო ჯამში, აბსურდთან დაკავშირებით არ ჩაითვალა მიზანშეწონილად კომისიის შექმნა. ყველამ იცის, რომ არავის უწამებია მიხეილ სააკაშვილი, ეს არის მარტივი ჭეშმარიტება.

რა თქმა უნდა, გარკვეული პლუსი შეიძლება ჰქონოდა ამ კომისიის შექმნას იმ კუთხით, რომ ეს მარტივი ჭეშმარიტება დადგინდებოდა ყველას მიერ, თუმცა მეორე მხარეა, რომ თავისთავად უკვე ასეთი კომისიის შექმნა რაღაც პოლიტიკური აქტია და არ ჩაითვალა ამ პოლიტიკური აქტის განხორციელება მიზანშეწონილად უმრავლესობის მხრიდან. აბსურდთან დაკავშირებით კომისიის შექმნა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

ერთი მსჯელობა, ალბათ, კიდევ შედგება. ჩვენ გვექნება უმრავლესობის სხდომა მანამდე, სამშაბათამდე, თუმცა რასაც ვუყურებ, ალბათ, რაღაც 10%-იანი შანსი არის, რომ ასეთ კომისიას მხარი დაუჭიროს უმრავლესობამ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

თაკო ჩარკვიანი: „სალომე ზურაბიშვილისგან სააკაშვილზე ძალიან საინტერესო პასუხები მივიღე“

პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისგან, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ძალიან საინტერესო და ნაფიქრი პასუხები მივიღე მესამე პრეზიდენტთან დაკავშირებით, – ამის შესახებ პარტია „კანონი და სამართალის“ თავმჯდომარემ, თაკო ჩარკვიანმა, პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, სალომე ზურაბიშვილთან განიხილა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, მდგომარეობა.

თაკო ჩარკვიანის შეფასებით, დღევანდელი შეხვედრა საინტერესო იყო.

– თავიდან უფრო ბუნდოვანებით დაიწყო შეხვედრა, გადავნაწილდით სხვადასხვა ოთახებში, შემდეგ უფრო საინტერესო გახდა. საუბრის დროს გამოიკვეთა სრულიად განსხვავებული ხედვა დ პროგრამები. უფრო გამოიკვეთა ის, რომ ასეთ პოლარიზაციას იწვევს რუსეთის და საქართველოს ურთიერთობა, რადგან ჩვენი ქვეყანა არის ოკუპირებული. ხელისუფლება არ უნდა უწყობდეს ხელს ტროლთა ინსტიტუტის დაფინანსებას.

ძალიან რბილად მიდიოდა საუბარი. მოგვიანებით, როდესაც 6 საათი შესრულდა, გვქონდა საშუალება ქალბატონ სალომესთან გასაუბრებისა. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ძალიან საინტერესო და ნაფიქრი პასუხები მივიღე მესამე პრეზიდენტთან დაკავშირებით, რამაც ობიექტურად გამიჩინა იმედი იმისა, რომ როგორც შეეძლება მას და რაც იქნება მის შესაძლებლობაში, ის ჩაერთვება, რომ პრეზიდენტის ინსტიტუცია არ გაბითურდეს და არ განადგურდეს მომავალში, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

მისივე ინფორმაციით, პრეზიდენტთან შეხვედრისას არ ყოფილა საუბარი მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კრუხის როლში გამოსვლა და მოწოდება ფრთებქვეშ შემოდითო, კორექტული არ არის“

ლევან ალაფიშვილი: „ბადრი ჯაფარიძისთვის იმუნიტეტის მოხსნაზე „ქართული ოცნება“ ფრთხილად უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, თქვენ როგორ აფასებთ ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ წვრილი პარტიების გაერთიანებას? ამ ერთობით ისინი გადარჩებიან თუ პირიქით, მსხვილი პარტია შეჭამს საბოლოოდ მათ?

– ასეთი იდეები, ასეთი განცხადებები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქვეყანაში მწვავე სისტემური კრიზისია. 30 წელია ქვეყანაში პარტიული სისტემა ვერა და ვერ გაიმართა. ვერ ჩამოყალიბდა პოლიტიკური სპექტრი, როგორი პარტიული სისტემა უნდა იყოს. როდესაც პოლიტიკური პარტიები ამ მდგომარეობაში არიან, რომელ დემოკრატიაზეა საუბარი.

პოლიტიკური სუბიექტები თუ თავად პოლიტიკოსები მსჯელობენ იმ საკითხზე, რომელიც პირდაპირ ამომრჩევლის გადასაწყვეტია. დიახ, ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს, ამა თუ იმ პარტიას გაამსხვილებს თუ, პირიქით, დაასუსტებს. ამის ბერკეტი ქვეყანაში მხოლოდ ამომრჩეველს აქვს და სხვას არავის. კრუხის როლში გამოსვლა და დანარჩენებისთვის მოწოდება ჩემს ფრთის ქვეშ შემოდითო, არ მგონია მთლად კორექტული იყოს. როგორც გითხარით, ეს ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს. არავის აქვს უფლება, არჩევანის შესაძლებლობა შეუზღუდოს ამომრჩეველს. ეს არ არის სწორი. უკეთეს შემთხვევაში ამაზე ალბათ დაფიქრდებიან. თუ არადა, თავიანთი სუბიექტური მოსაზრებები დაიტოვონ თავისთვის.

– პარლამენტის მიერ დეპუტატებისთვის უფლებამოსილების საკითხის შეწყვეტაზე მინდა გკითხოთ. როგორც ცნობილია, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა კენჭი უყარა ოთხი დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას. საბოლოო გადაწყვეტილება პლენარულმა სესიამ უნდა მიიღოს. როგორც კონსტიტუციონალიტი, რა კომენტარს გააკეთებთ?

– თავის დროზე, როდესაც ოპოზიციამ გადაწყვეტილება მიიღო საპარლამენტო სიების ჩახსნასთან დაკავშირებით, მე მაშინ ვთქვი, რომ ეს დიდი შეცდომა არის და შეიძლება უკან მობრუნებოდა ოპოზიციას. ახლა სწორედ ამის მოწმენი ვართ. ეს არ იყო ოპოზიციის მხრიდან სწორი გადაწყვეტილება. მათ, როგორც პოლიტიკოსებს, უნდა გაეთვალათ, რა შედეგი შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. გასაგებია, რომ ისინი მაშინ არჩევნების შედეგებს არ ცნობდნენ და უარს ამბობდნენ პარლამენტში მუშაობაზე, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ მათივე არათანმიმდევრული ნაბიჯებისა თუ პოლიტიკის მსხვერპლნი არიან.

– ელენე ხოშტარიასა და კახა კუჭავას შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია. ისინი თავად ამბობენ მანდატზე უარს, მაგრამ შალვა ნათელაშვილი და ბადრი ჯაფარიძე, პირიქით, მუშაობის შესაძლებლობას ითხოვენ. ამ შემთხვევაში პარლამენტი ამომრჩევლის ნების წინააღმდეგ ხომ არ წავა?

– რაც შეეხება შალვა ნათელაშვილის შემთხვევას, ვინაიდან კანონში არის ჩანაწერი, რომ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი სამუშაო საათების გამო დეპუტატს შეიძლება მანდატი შეუწყდეს, ეს ჩანაწერი აძლევს მმართველ პარტიას შესაძლებლობას, რომ საკითხი განიხილოს.

– თუმცა, ნათელაშვილის არგუმენტით, ბოიკოტი არც ერთი სამართლებრივი ნორმით არ მიიჩნევა არასაპატიოდ.

– გეთანხმებით და ეს არგუმენტი აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ მე რამდენადაც ვიცი, შალვა ნათელაშვილს, თავის დროზე, იმავე მანდატზე უარი აქვს ნათქვამი.

რაც შეეხება ბადრი ჯაფარიძის შემთხვევას, აქ, „ქართული ოცნება“ ძალიან ფრთხილი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან თავად სასამართლომ გაამართლა ბადრი ჯაფარიძე იმ კონკრეტულ ბრალდებაში, რომელსაც მას ედავებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, სასამართლო არ დასრულებულა აღნიშნულ საქმეზე. ცხადია, სამივე ინსტანციასა და სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას ვგულისხმობ. თუ სასამართლოს ზემდგომი ინსტანციები ან საერთოდ სტრასბურის სასამართლო ბადრი ჯაფარიძეს აღნიშნულ საქმეში გაამართლებს, მერე რას შვრება საქართველოს პარლამენტი?!

– მანდატის აღდგენის შესაძლებლობას არ ცნობს კონსტიტუცია?

– არა. ერთხელ შეწყვეტილი მანდატი ნიშნავს უფლებამოსილების საბოლოოდ შეწყვეტას. ამიტომ, მმართველი პარტია ვალდებულია, ამ საკითხს ძალიან ფრთხილად მოექცეს, რათა კონსტიტუციურ ჩიხში არ აღმოვჩნდეთ. ხელისუფლებამ პოლიტიკური კონიუნქტურით არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ სასამართლო პირს პასუხისმგებლობას არ აკისრებს და ათავისუფლებს, პარლამენტს რა უფლება აქვს, რომ დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყვიტოს?! ეს იქნება ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება. იმედი მაქვს, პარლამენტის პლენარული სესია არ მიიღებს ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებას. დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა უკიდურესი სამართლებრივი აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული და არ პოლიტიკური ინსტრუქტაჟით.

– კონსტიტუციით საქართველოს 150-მანდატიანი პარლამენტი ჰყავს. თუ აღნიშნულ დეპუტატებს მანდატი შეუწყდებათ, შევსება ვერ მოხდება, ვინაიდან სიები განულებულია. ეს ხომ არ გამოიწვევს კონსტიტუციის დარღვევას?

– ამ შემთხვევაში კონსტიტუცია არ დაირღვევა, მაგრამ თუ პარლამენტი კვორუმს ვერ მოაგროვებს, მაშინ კი დაირღვევა. კვორუმს თუ ვერ აგროვებს პარლამენტი, ის უუნაროა და დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნების საკითხი დგება. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ელისაშვილის პარტია და „სოციალ დემოკრატები“ კვორუმის მოგროვების შესაძლებლობას იძლევიან.

– მიუხედავად ამისა, კოჭლი პარლამენტი შეიძლება ვუწოდოთ?

– რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში დეპუტატნაკლული პარლამენტი კოჭლია.

„ლარის კურსი ხელოვნურად მყარდება“

ნიკა შენგელია: „თუ ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ ლარის კურსი 2.8-2.9-ის ფარგლებში დაიჭირეს, გაზაფხულზე ფასები 4-12%-ის ფარგლებში შემცირდება“

იაგო ნაცვლიშვილი

ლარი ფაქტობრივად ყოველდღე მყარდება, თუმცა გამყარებას ფასების არა თუ შემცირება არ სდევს თან, არამედ ფასები ისევ იზრდება. მოსახლეობა კი ყველაზე მეტად ლარის გამყარებას ამ ფაქტორის გამო ელოდა.

რის საფუძველზე მყარდება ლარი და რას უნდა ველოდოთ ფასებთან მიმართებით? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ნიკა შენგელია** საუბრობს.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გვეუბნებოდა, რომ ფასები თებერვლიდან დაიწყებდა დასტაბილურებას. ხედავთ რაიმე ნიშანს, რომ ეს ფასები მაინც შენარჩუნდეს და მისი ზრდა შეჩერდეს?

– ეროვნული ბანკი ბევრ რამეს გვპირდება, მაგრამ ამ თემაზე ჩვენი პროგნოზი გაკეთებული გვაქვს, რომ თებერვალში შენარჩუნდებოდა მაღალი ფასები და ეს ჯერჯერობით უცვლელია. მიუხედავად იმისა, რომ პირველი კვარტლის შემდეგ ინფლაციის შემცირებას ველოდებით. შეიძლება შემცირდეს ინფლაციის მაჩვენებელი, მაგრამ ფასები მაღალი დარჩება და ეს, სამწუხაროდ, გარდაუვალია.

– გასაგებია, რომ არ დაიკლებს, მაგრამ ზრდაც გაგრძელდება?

– ფასების ზრდა პირველი კვარტლის შემდეგ გაგრძელდება, თუ ლარის კურსი იქნება არასტაბილური.

– არასტაბილურობაში იმასაც გულისხმობთ, როგორც დღეს ხდება, რომ ყოველდღიურად მყარდება?

– ვალუტის არასტაბილურობაში ვგულისხმობ იმას, რომ თუ მისი კურსი იქნება 3.0-ზე მაღლა. ასეთ შემთხვევაში ვერ შენარჩუნდება ფასები. როგორც ვხვდებით, ასე გადაწყვიტეს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა, რომ ვალუტის კურსის გამყარების ხარჯზე მოთოკოს ინფლაცია და მაღალი ფასები. ჩვენ გვქონდა პროგნოზი დეკემბერში, რომ თებერვლის მეორე ნახევრიდან ველოდებოდით ვალუტის გაუფასურებას და ამის ნიშნები, სამწუხაროდ, ლარს უკვე დაეტყო, მყარდება ბოლო დღეებში და ეს იძლევა საფუძვლიან ეჭვს, რომ ვალუტის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით სინქრონიზებული შეთანხმებაა.

– ხელოვნურად ხდება ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება?

– რა თქმა უნდა. საქართველოს ეკონომიკაში ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ვალუტის კურსი ასე გამყარებულიყო.

– რაში აწყობთ, რომ გაამყარონ? რაიმე მანიპულაციაა?

– ასე სწრაფად არ მყარდება ვალუტა. მაშინ ეკონომიკაში უნდა მოხდეს რაიმე ძლიერი ფაქტორები. ის ფაქტი, რაც ვალუტის კურსს გაამყარებს, არის მსხვილი თანხა. იყო შემოსულობები 2021 წელს, რაც დაეხმარა ლარს, მაგრამ ის, რომ ისტერიული გამყარების მოწმენი გავხდით, ეს ნიშნავს, რომ ხელოვნურად არის გაკეთებული. მაგრამ თუ მოახერხა ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა და ლარის კურსი შეინარჩუნა, ამ ერთი თვის განმავლობაში 2.8-2.9-ის ფარგლებში დაიჭირა ეს კურსი, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით გაზაფხულიდან საქონელსა და მომსახურებაზე ფასები 4-12%-ით გაიაფდეს.

– ანუ, ახლა მთლიანად მთავრობასა და ეროვნულ ბანკზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებენ იმ ფინანსური პოლიტიკის გაგრძელებას და შენარჩუნებას, რაც დაიწყეს?

– რა თქმა უნდა. მთავრობაზეა დამოკიდებული, რაც ხდება საქართველოში ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამას არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური შეთანხმებაც უნდა. ეროვნული ბანკი განკარგავს, რამდენი უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკაში ლარის ოდენობა, რამდენი შეიტანოს და რამდენი გამოიტანოს და თვალყური ადევნოს თავის ფუნქციებს. ეროვნულმა ბანკმა ამას ვერ მიაღწია საპროცენტო განაკვეთის ზრდით და ჩვენ ამას ვხსნიდით, რომ საპროცენტო განაკვეთის ზრდა ზევით-ქვევით, ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანდა და მაინც გააკეთეს ისე, რომ საპროცენტო განაკვეთი გაზარდეს. საპროცენტო განაკვეთი რომ არ გაეზარდათ, შედეგი მაინც იგივე იქნებოდა. საპროცენტო განაკვეთი, სამწუხაროდ, აღარ მოქმედებს, ისეთ მდგომარეობაშია შესული მსოფლიო ეკონომიკა. ის ვერ მოთოკავს ინფლაციას.

გაზაფხულიდან საპროცენტო განაკვეთს ამერიკაშიც ზრდიან იმის საჩვენებლად, რომ ინფლაცია მოთოკონ, მაგრამ ამას ვერ შეძლებენ და მიიღებენ უარყოფით შედეგებს. ამის მომსწრეები გავხდებით ჩვენ.

– საქართველოს რომ დავუბრუნდეთ, რისკს ხომ არ სწევენ ლარის კურსის ხელოვნური გამყარებით. იმიტომ, რომ როგორც თქვით, თუ ეს კურსი ვერ შეინარჩუნეს, მაშინ ფასები ისევ მოიმატებსო და ამ მხრივ რისკს ხომ არ სწევენ?

– რა თქმა უნდა, რისკია. ეროვნული ბანკი ცდილობს, რომ ლარი გაამყაროს მაქსიმალურად, რომ ეს ფასების გაიაფებას დაეტყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ეს არ გამოუვათ და ლარი დაუბრუნდება 3.15-ის ფარგლებს, საწვავის ფასი მოიმატებს უახლოესი 3 კვირის განმავლობაში და მას 4 ლარამდეც არაფერი დააკლდეს. თუ მთავრობას სურს, რომ ფასები იყოს მეტ-ნაკლებად სტაბილური და ინფლაციის მაჩვენებელი და ფასები ზედმეტად არ იზრდებოდეს, მან ლარის კურსის გამყარებასთან ერთად უნდა აამოქმედოს მეორე ბერკეტი, რასაც ჰქვია საწვავის აქციზის მოხსნა. მინიმუმ, მისი გაუქმება, როგორც დროებითი ღონისძიება. ასევე გამყარებული ლარის კურსის ფონზე გადასინჯოს და შეამციროს გაზრდილი კომუნალური გადასახადები, თუ ამას გააკეთებს, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

– ამ ფონზე, როდესაც ლარი მყარდება და ხელისუფლება გვეუბნება, რომ ეკონომიკაში საგრძნობი წინსვლაა და ამ დროს, როცა ეკონომიკის მინისტრს ხსნიან, ეს რომელი ლოგიკიდანაა?

– ეს იმ ლოგიკიდან არის, რომ თუ გახსოვთ, ლარმა გამყარება დაიწყო გიორგი კვირიკაშვილის ეკონომიკის მინისტრობის დროს და ის მოხსნეს. იგივე ხდება ახლაც. ცოტა პოლიტიკური განცხადება გამომივა, მაგრამ არაფერი დასამალია, რომ ის ისტერია, რომ საგრძნობი ეკონომიკური წინსვლაა, ეს არის მხოლოდ ციფრებში. ადამიანებს შემოსავლები არ აქვთ და, სამწუხაროდ, ფასების ზრდასაც და ინფლაციასაც გრძნობს დაბალშემოსავლიანი ფენა. იქნებიან მაღალჩინოსნები თუ ბიზნესმენები, მათ საერთოდ არ იციან ფასები სუპერმარკეტებსა თუ ავტოგასამართ სადგურებზე.

ამიტომ, ეკონომიკის მინისტრის გადაყენებაც უკავშირდება იმას, რომ თვითონაც ხვდებიან, რომ ქვეყანაში საქმე კარგად არ არის და ამიტომ, შეცვალეს. მოვიდა ახალი მინისტრი იმ იმედით, რომ გადააგორებენ ამ ეკონომიკურ მდგომარეობას.

„თუ რუსეთს ჩაარტყეს თავში და დაშლა დაიწყო, ჩვენც გვეშველება“

გურამ ვახტანგაშვილი: „ყველაფერი ჩვენთვის უარესობისკენ მიდის. ჯერჯერობით, ჩვენ სასარგებლოდ არაფერი ხდება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, ცხინვალის რეგიონში ე.წ. არჩევნებია დანიშნული. რა დამოკიდებულება გაქვთ ამ ე.წ. არჩევნების მიმართ?

– აბსოლუტურად უარყოფითი. ცხინვალში ვინც უნდა აირჩიონ, ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ყველა ჩვენ წინააღმდეგ იქნება, რუსების მხარეს დაიჭერს, რადგან რუსეთზეა დამოკიდებული. ახლა ვინც არის – ანატოლი ბიბილოვი – მეორე ვადით დარჩენას აპირებს. ცხინვალში საზოგადოებრივი აზრი არ არის და არც ისეთი კანდიდატი გამოჩნდება, რომელიც საქართველოსკენ ნაბიჯების გადმომდგმელია.

– ეს მაინც დამოკიდებულია რუსეთზე თუ, უბრალოდ, დიდი ხანია ასეთი განწყობა აქვთ შექმნილი?

– ძირითადად, გართულება 2004 წლიდან დაიწყო. 2004 წლამდე თითქმის შერიგებული ვიყავით. ერგნეთის ბაზარი გაკეთდა, მისვლა-მოსვლა აღდგა, რაჭის გზა გაიხსნა. გორი და თბილისი სავსე იყო ცხინვალიდან ჩამოსული მოქალაქეებით. მათ ხომ მთელი ნათესაობა საქართველოს აქეთ ნაწილში ჰყავთ. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე უფრო მეტი ოსი ცხოვრობს, ვიდრე იქ. 2004 წლის შემდეგ უფრო ცუდი განწყობა აქვთ.

ახლა ცხინვალის რეგიონში 100%-ით რუსებზე არიან დამოკიდებული. რუსი რასაც ეტყვის, იმას გააკეთებენ. ძალიან დიდი განსხვავებაა აფხაზეთისა და ცხინვალის საზოგადოებებს შორის. აფხაზები თავიდანვე დამოუკიდებლობაზე საუბრობდნენ, ოსები კი ჩრდილო ოსებთან გაერთიანებაზე, რაც რუსეთის ფედერაციაში შესვლას ნიშნავს, დამოუკიდებლები როგორ იქნებიან.

– ბიბილოვს 5-პუნქტიანი გეგმა ჰქონია. მათ შორის, ერთ-ერთი ჩრდილო ოსეთთან, ანუ რუსეთთან შეერთებაა. მედოევი (რომელიც დღეს ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრია) კი აცხადებს, ცხინვალი რუსეთ-ბელორუსის კავშირში უნდა შევიდეს, როგორც დამოუკიდებელიო. ეს განცხადებები რუსეთის თამაშია თუ რაიმე განსხვავებები არის მათ შორის აზროვნებასა და გეგმაში?

– ეს თამაში კი არა, დღევანდელი ცხოვრებაა. ცხინვალი და აფხაზეთი დროებით დავკარგეთ. დღეს საერთაშორისო ვითარება ძალიან დაძაბულია. უკრაინასა და რუსეთს შორის დაპირისპირებაა. ლუკაშენკოს აფხაზეთის აღიარებაზე ჰკითხეს და უპასუხა, პუტინი თუ მეტყვის, ვაღიარებო.

– მოკლედ, ეს საკითხი ბეწვზე ჰკიდია.

– ყველაფერი ჩვენთვის უარესობისკენ მიდის. ჯერჯერობით, ჩვენ სასარგებლოდ არაფერი ხდება. ყველაზე კარგი იქნებოდა, ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე იმ განცხადების ნაცვლად, უკრაინასა და საქართველოს ნატოში აუცილებლად მივიღებთო, პირდაპირ სწრაფად მივეღეთ.

ბუქარესტის სამიტზე ნატოში რომ მივეღეთ, 2008 წლის აგვისტოს ომი არ იქნებოდა და ცხინვალსა და აფხაზეთსაც არ დავცილდებოდით. ხომ ხედავთ, ამერიკა და ევროპაც ვერ ბედავენ ომის დაწყებას. ვერ ბედავენ და, კონკრეტულად, ვერაფერს ეუბნებიან.

– რუსეთიც ვერ ბედავს – უკრაინის საზღვართან ჯარი უყენია, მაგრამ შეჭრას ვერ ბედავს.

– უკრაინა საქართველო არ არის, ერთ დღე-ღამეში ომი დამთავრდეს. ჩვენ 3 მილიონი ვართ და 3 მილიონის შესაბამისი – 10-20 ათასკაციანი ჯარი გვყავდა. რუსეთს (ბელორუსის ჩათვლით) უკრაინის საზღვართან 120 ათასი კაცი ჰყავს. ერთი იმდენი ჰყავს უკრაინასაც.

მე რა ინფორმაციაც მაქვს, ჩვენ მაშინ წყლით და რაღაც მსგავსი რამით დაგვეხმარნენ. რეალურად, არავინ დაგვეხმარა. უკრაინაში კი, ყოველ წუთში თვითმფრინავი ჯდება და იარაღი შეაქვს. უკრაინაში 40 მილიონი კაცი ცხოვრობს. 40 მილიონი კაცი პატარა საქმე არ არის.

– დღეს უკრაინის ხელისუფლება ისე არ იქცევა, როგორც სააკაშვილი მოიქცა. სააკაშვილი 9 აგვისტოსაც კი არ აღიარებდა, რუსის ჯარი რომ იყო შემოსული. სინამდვილეში რუსეთს მაისსა და ივნისში უკვე ბატალიონები ჰყავდა შემოყვანილი.

– რუსეთს ჯარი 1990 წლის შემდეგ ჰყავდა საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანილი. 2008 წელს დამატებითი ძალები შემოიყვანეს, 8 აგვისტოს როკის გვირაბით ტანკების კოლონა რომ შემოვიდა და გზაზე იყო გამწკრივებული (ამის კადრები არსებობს), დანარჩენი საქართველოს ასაღებად შემოიყვანეს, გორში და აქეთაც ხომ შემოვიდნენ, ჯარის რაოდენობა ხომ სჭირდებოდათ, გორი, ახალგორი, ხაშური და სხვა ადგილები რომ გაეკონტროლებინათ. როკის გვირაბით ჯარი რომ არ შემოსულიყო, ვერ გააკონტროლებდა. მანამდე იმდენი ჯარი ჰყავდა შემოყვანილი, ცხინვალისთვის საკმარისი გახლდათ.

– სააკაშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ლუკაშენკოს საიდუმლოდ ვხვდებოდიო. სააკაშვილი ლუკაშენკოს საიდუმლოდ რატომ უნდა შეხვედროდა, ლუკაშენკოს მეშვეობით პუტინს ხომ არ უკავშირდებოდა? ცნობილია მერაბიშვილის შეხვედრების თაობაზეც.

– არ გამოვრიცხავ. შეიძლება ასეთი რამ იყოს. სააკაშვილს ლუკაშენკოსთან კარგი ურთიერთობა და შეხვედრები თუ ჰქონდა, შეიძლება ცხინვალისა და აფხაზეთის თაობაზე, ტერიტორიული მთლიანობის ან ურთიერთობების აღდგენაზე ესაუბრებოდა. ლუკაშენკოს სხვა რა თემაზე უნდა დალაპარაკებოდა. სააკაშვილს პუტინთან ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდა და პუტინს ვერ ელაპარაკებოდა.

ჩვენ ვაცხადებთ, რუსეთს არ დაველაპარაკებითო, მაგრამ მაინც მივალთ იმ მომენტამდე, რომ პუტინი იქნება თუ სხვა, დაველაპარაკოთ. ცხინვალისა და აფხაზეთის ბედის გადასაწყვეტად.

ვამბობთ, რუსეთი არ გვინდაო. რუსეთი მართლა არ გვინდა. რუსეთმა ათასი უბედურება დაგვატეხა თავს, მამა-პაპური ყველაფერი წაგვართვა, ოკუპანტია, მაგრამ ხორბალი 100%-ით იქიდან შემოდის. რძისა და სხვა პროდუქტები იქიდან შემოდის. ჩვენი ღვინის 80%, ხილი, ციტრუსი ჩვენგან რუსეთში გადის.

ჩვენი ნომერ პირველი მტერი რუსეთია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რუსეთი მტერი, ოკუპანტი და ჩვენი მიწების მიმტაცებელია, მაგრამ რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და ყველაზე მეტი ფული რუსეთიდან ირიცხება. მილიონი ქართველი აქ თავის ოჯახს ფულს ურიცხავს. ასეთი მტერი მეზობელი გვყავს, მაგრამ რაღაცნაირად დალაპარაკების გარეშე არაფერი გამოვა.

– ცხინვალს დავუბრუნდეთ – ცხინვალში გავრცელდა წერილი, სადაც ბიბილოვი აღმატებული ფორმით საუბრობს, ეს გავაკეთე, ის გავაკეთე და ცხინვალის რეგიონი ავაყვავეო. შემდეგ ითქვა, რომ ეს ინფორმაცია ბიბილოვს არ გაუვრცელებია. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, რეგიონი როგორ მდგომარეობაშია? თქვენთან ბოლო დროს ცხინვალიდან ხომ არ ჩამოსულან?

– ბოლო დროს არ ჩამოსულან. ცხინვალში სამხედრო ბაზაა და მუშაობით ყველა მუშაობს. ძირითადად დასაქმებული არიან რუსულ ჯარსა და ე.წ. სამთავრობო სტრუქტურებში, რაიონებსა და აღმასრულებელ კომიტეტებში. ხელფასები და პენსიები 800 ლარამდე აქვთ, დამსახურებაზე კიდევ უფრო მეტი აქვთ. რომ გითხრათ, უჭირთ და შიმშილობენ-მეთქი, ამის ინფორმაცია არ მაქვს.

ვიცი, რომ ზოგი იქიდან აქეთ გაჭირვებულ ნათესავს ეხმარება. აყვავებით არ არის აყვავებული. ცხინვალში ქარხანა-ფაბრიკა ან რაღაც დიდი ნაგებობა არ გაკეთებულა. გზები კი გააკეთეს. დანარჩენი, როგორ უნდა აყვავდეს, ერთი ბეწო ქალაქია? ამოდენა ქვეყანა ვართ და ჩვენ ვერ ავყვავდით, ეგენი როგორ აყვავდებოდნენ. ვიცი, რომ არ უჭირთ, ყველა დასაქმებულია, ყველა მუშაობს.

– ვინმე ჯაყო თუ იცით, რომელიც რუსეთში დაუპატიმრებიათ. მას უთქვამს, ბიბილოვი იმ ადგილზე ჩემი დასმულიაო.

– ჯაყო როგორ არ ვიცი. მისი სახელი და გვარია ალიკა ცხოვრებოვი, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში. გურამ ცხოვრებოვი რომ იყო, ერთ-ერთი მაგარი ფეხბურთელი თბილისის დინამოში, იმის ძმაა. მათ დედა ქართველი ჰყავდათ. ომის დროს ჯაყო შტაბის უფროსი იყო, 1991-92 წლებში ეგ შტაბს ხელმძღვანელობდა, ჯაბა იოსელიანი და ჯაყო ძმებივით იყვნენ, ჯაყო და ჯაბა ციხეში ერთად ისხდნენ. კარგად ვიცი, მხედრიონი ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ჯაყო თბილისში ჩამოვიდა. ხუმრობდნენ თუ მართალია არ ვიცი, მაგრამ ამბობდნენ, ჯაყოს ჯაბა იოსელიანისთვის უთქვამს, ბიზნესი გამიკეთე ცხინვალშიო. ჯაბას უპასუხია, რა ბიზნესი გინდა, ხან მე გამოვისვრი აქედან, ხან შენ გამოისროლე იქიდან და ყველაზე კარგი ბიზნესი ეგ არისო. ეგეთი ჭორები დადიოდა

– ასეა თუ ისე, ამ საკითხში წინ ვერ წავიწიეთ.

– წინ წაწევა იქნება თუ რუსეთს ჩაარტყეს თავში და დაშლა დაიწყო. მაშინ შეიძლება რაღაცნაირად წინ წავიწიოთ. მაშინ ბრძოლა შეიძლება. არავის უნდა დიდი ომი. დიდი ომი თუ იქნა და დასავლეთი თუ იქამდე შემოვიდა, სადამდეც საჭიროა, მაშინ გვეშველება.

ინალ არძინბამ გაეროს მიმართა

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ბჟანია იტალიელი დეპუტატების წინაშე გამოვიდა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურდა. დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ონლაინ-ფორმატით მონაწილეობა მიიღო იტალიის პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაში. მისი სახელწოდებაა „ხალხების თვითგამორკვევის უფლება. აფხაზეთი და დიდი ევროპა“.

იტალია ვენესუელა და ნიკარაგუა არ არის. იქ ამგვარი ღონისძიების გამართვა გასაკვირი არ იქნებოდა. თუმცა, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან ამა თუ იმ დონეზე იტალიის კონტაქტები თბილისის გვერდის ავლით ადრეც დაფიქსირებულა და სენსაციად არც ახლანდელი შემთხვევა უნდა ჩაითვალოს. მთავარია, იყოს ადეკვატური რეაგირება საქართველოს ხელისუფლებისგან.

ბჟანიას გამოსვლა იტალიის პარლამენტის წევრების წინაშე გამოირჩეოდა სიხისტით ქართველების მიმართ. მის სიტყვებში არსად იყო ნახსენები რუსეთის კავშირი აფხაზეთის ომთან. ბუნებრივია, რომ ღონისძიების მთავარი მიზანია აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების გაფართოება.

პრესკონფერენციაში ასევე მონაწილეობდა „აფხაზ-აბაზინთა მსოფლიო კონგრესის“ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მუსა ეკზეკოვი.

– აფხაზეთმა სახელმწიფოებრიობა ასწლეულების წინ მოიპოვა. რესპუბლიკას აქვს სახელმწიფოს ყველა ატრიბუტი. ჩვენმა ხალხმა შეძლო გადაელახა საქართველოს შოვინისტური პოლიტიკით გამოწვეული სიძნელეები.. საქართველო თავს დაესხა აფხაზეთს 1992 წლის 14 აგვისტოს. სირთულეების მიუხედავად, რესპუბლიკამ მოიპოვა გამარჯვება და მიიღო სტაბილურად განვითარების შესაძლებლობა, – აცნობა იტალიელებს ბჟანიამ.

მისივე თქმით, აფხაზეთს აქვს კონსტიტუცია. რეფერენდუმმა დაამტკიცა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას უნდა სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

ბჟანია შეეხო აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას. მისი შეფასებით, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც მოჰყვება მთელ რიგ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მაღიარებელი სახელმწიფოების რიცხვი, მისი მტკიცებით, იზრდება. აფხაზეთი მზადაა ყველა ქვეყანასთან სათანამშრომლოდ.

დე ფაქტო პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იტალიაში მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც აფხაზეთის მონახულება და მის კულტურაზე მეტის გაგება უნდათ.

– იტალიელებს კოდორის წყლის ინტერესი აქვთ – ასეთ ინფორმაციას ავრცელებს ერთ-ერთი აფხაზი კომენტატორი.

ალბათ, იტალიაში აფხაზეთის მიმართ გარკვეული კომერციული ინტერესიც იყოს, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას, შელახოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

იმავდროულად ოკუპირებული აფხაზეთი გაეროს მიმართულებითაც გააქტიურდა. ამ მხრივ აქტივობა სოხუმიდან ადრეც ყოფილა. ამჯერად გაეროს ხელმძღვანელობას, ასევე „რუსეთის ფედერაციის გაეროს დახმარების ასოციაციას“ მიმართა რუსეთში დაფრთიანებულმა ინალ არძინბამ, რომელიც 2021 წელს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრად მოავლინეს.

არძინბა მიმართავს ადრესატებს, მისცენ აფხაზეთს გაეროში დამკვირვებლის სტატუსი, რაც მას საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღოს გაეროს გენერალური ასამბლეის დისკუსიებში.

არძინბას მიმართვაში ნათქვამია, რომ გაეროს წესდებით, ორგანიზაციის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანა მდგომარეობს დიდი და მცირე ერების თანასწორობის უზრუნველყოფაში.

გადაწყდა, რომ სოხუმში გაეროს განვითარებას სპეციალური ფორუმი მიეძღვნება.

აშკარაა, რომ ოკუპირებულ რესპუბლიკას ხსენებულ ნაბიჯებში რუსეთი ეხმარება. ამ დღეებში აფხაზეთი ლუკაშენკომაც ახსენა. მას შემდეგ, რაც რუსეთის მოკავშირე ბელარუსის ლიდერმა ლუკაშენკომ განაცხადა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობას“ მაშინ აღიარებს, თუ ამის საჭიროებას დაინახავს, პუტინის პრესმდივანმა პესკოვმა გამოაცხადა, რომ ბელარუსზე ამ საკითხში მოსკოვი ზეწოლას არ აპირებს.

როგორც ჩანს, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ გაფართოებას კრემლი ამ ეტაპზე სხვა მიმართულებებიდან ცდილობს.

ლადო ხინჩეგაშვილმა ოლიმპიური კომიტეტიდან სტიპენდიის სახით 64 800 ლარი მიიღო

ლადო ხინჩეგაშვილმა ოლიმპიური კომიტეტიდან სტიპენდიის სახით 64.800 ლარი მიიღო. ინფორმაცია ამის შესახებ მის 2022 წლის დეკლარაციაშია ასახული, სადაც წერია, რომ ეს თანხა მან 2021 წლის განმავლობაში მიიღო.

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ხინჩეგაშვილი უძრავ ქონებასა და მიწის ნაკვეთებს ფლობს როგორც გორის მუნიციპალიტეტში, ისე საქართველოს სხვა რეგიონში.

განჩინება, რომლითაც მოსამართლემ პენიტენციურ სამსახურს დაავალა, იყო განჩინება – განჩინებისთვის

სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, რომლითაც მოსამართლემ სააკაშვილის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების მიღება პენიტენციურ სამსახურს დაავალა, არ შეიცავს სათანადო მექანიზმებს, ეს იყო განჩინება – განჩინებისთვის, – ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში მესამე პრეზიდენტის მონახულების შემდეგ განაცხადა.

მისივე განცხადებით, სააკაშვილის რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში შესაბამისი მკურნალობა არ უტარდება. „ყველამ კარგად ვიცით, რომ მიხეილ სააკაშვილს რუსთავის ციხეში სათანადო მკურნალობა არ უტარდება. ჩვენ ვითხოვთ განისაზღვროს საჭიროებები, რაც არის როგორც პირადი ექიმის, ასევე ალტერნატიული კონსილიუმის წევრების მიერ მისი მონახულება“ – აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

ადვოკატის ინფორმაციით, სააკაშვილთან საუბარი გუშინდელ სასამართლო პროცესს შეეხებოდა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძის მიერ ჩვენებაზე უარის თქმამ დაადასტურა, რომ განაჩენები, რომლებიც სააკაშვილის საქმეებზე დაუსწრებლადაა მიღებული, „ფარსი და დადგმული შოუ“.

– ბუნებრივია, ჩვენი საუბარი ეხებოდა ანზორ ჩუბინიძის მიერ ჩვენებაზე უარის თქმას. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის, ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ სიმართლის თქმაზე თავის შეკავება და იმის თქმა, რომ სიმართლე შეიძლება მის წინააღმდეგ შეტრიალდეს, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენთან მართლმსაჯულების სისტემა მორღვეულია. სახელმწიფოს ყველა რგოლი და თანამდებობის პირები პირდაპირ არიან ჩართულნი სისხლის სამართლებრივ დევნაში, სიმართლის თქმაზე უარმა გააშიშვლა ამ საქმეების პოლიტიკური მოტივაცია და დაადასტურა, რომ განაჩენები, რომლებიც სააკაშვილის საქმეებზე დაუსწრებლადაა მიღებული, არის ფარსი და დადგმული შოუ. თემურ ჯანაშიას პერიოდში სახელმწიფო დაცვის სამსახური გასცემდა კვების, მკურნალობის, ავტომობილების ქირაობის ხარჯს, რაც ასევე გაგრძელდა ჩუბინიძის ხელმძღვანელობის პერიოდში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი იყო პოლიტიკაში, – აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

სტრასბურის სასამართლომ პოლიციელის მიერ მოკლული 19 წლის სალომე ჯორბენაძის საქმეზე დარღვევა დაადგინა

საიას ინფორმაციით, სტრასბურის სასამართლომ პოლიციელის მიერ მოკლული 19 წლის სალომე ჯორბენაძის საქმეზე დარღვევა დაადგინა.

სტრასბურის სასამართლომ ყოფილი ქმრის მიერ მოკლული 19 წლის სალომე ჯორბენაძის საქმეზე დარღვევა დაადგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ავრცელებს.

ორგანიზაციის ცნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე სიცოცხლის უფლების – ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის და დისკრიმინაციისგან დაცვის – ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა დაადგინა.

– ევროპულმა სასამართლომ პოლიციელის მიერ ჩადენილი ფემიციდის საქმეზე დარღვევა დაადგინა. დღეს, 2022 წლის 10 თებერვალს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე A and B v. Georgia გადაწყვეტილება გამოიტანა.

19 წლის სალომე ჯორბენაძე, 2014 წლის 25 ივლისს, ზესტაფონში მოკლა მისმა ყოფილმა ქმარმა, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომელმა, სერგი საცერაძემ სამსახურებრივი საშტატო იარაღით. მკვლელობამდე სალომე მიმართავდა ზესტაფონის პოლიციას, პროკურატურას და შსს-ს გენერალურ ინსპექციას და მოძალადისგან დაცვას ითხოვდა. მიუხედავად ამისა, მოძალადის შესაჩერებლად კანონით გათვალისწინებული ზომები არ გატარდა. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე სიცოცხლის უფლების (ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი) და დისკრიმინაციისგან დაცვის (ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი) უფლების დარღვევა დაადგინა. ამ საქმეს საია აწარმოებდა ორგანიზაციებთან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) თანამშრომლობით, – ნათქვამია საია-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლიციამ ბრაზილიის მოქალაქე დააკავა, რომელსაც აეროპორტის გავლით, საქართველოში 1 კილოგრამამდე „კოკაინი“ სხეულით შემოჰქონდა

პოლიციამ ბრაზილიის მოქალაქე დააკავა, რომელსაც აეროპორტის გავლით, საქართველოში 1 კილოგრამამდე „კოკაინი“ სხეულით შემოჰქონდა.

თბილისში ნარკოდანაშაულისთვის 4 პირი დააკავეს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს-ს ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ბრაზილიის მოქალაქე – 1993 წელს დაბადებული ფ.ს. თბილისში დააკავეს.

აღნიშნული პირის დაკავება განხორციელდა გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) კონტეინერების კონტროლის პროგრამის წევრების თანამშრომლობით.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ფ.ს.-ს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით, საქართველოში 1 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ სხეულით შემოჰქონდა. ნივთმტკიცებად ამოღებულია 80 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“.

სამართალდამცველებმა თბილისში ნარკოტიკების ინტერნეტით უკანონო გასაღების ფაქტი აღკვეთეს და დედაქალაქში სხვადასხვა ადგილზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკები ამოიღეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე: 1995 წელს დაბადებული ვ.ტ., 1988 წელს დაბადებული ა.ნ. და 1996 წელს დაბადებული ე.დ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მცირე შეკვრებად აფასოებდნენ, თბილისში სხვადასხვა მისამართებზე, სამალავებში ათავსებდნენ, შემდეგ კი ერთ-ერთი ინტერნეტპლატფორმის საშუალებით ასაღებდნენ.

პოლიციამ დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 250 გრამამდე „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება და ფული ამოიღო.

ასევე ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ბრალდებულების მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე შემდგომი გასაღების მიზნით განთავსებული „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკი, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა– შენახვისა და გასაღების მცდელობის, ასევე საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს.

უკრაინის პოლიციამ ზურაბ ადეიშვილზე თავდასხმაში მონაწილე ერთ-ერთი პირი დააკავა

უკრაინის პოლიციამ ქვეყნის გენერალური პროკურორის თანაშემწის, ზურაბ ადეიშვილზე თავდასხმაში მონაწილე ერთ-ერთი პირი დააკავა, – ინფორმაციას ადგილობრივი მედია შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნიკაციის სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ეჭვმიტანილი 34 წლის ასაკის უცხოელი მამაკაცია და მას ბრალი ხულიგნობის მუხლით წაუყენეს.

შეგახსენებთ, საქართველოს იუსტიციის ყოფილ მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს ოთხი უცნობი პირი კიევში რამდენიმე დღის წინ დაესხა თავს, რის შედეგად ადეიშვილის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. ამასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, ზურაბ ადეიშვილზე თავდამსხმელები ქართველები არიან.

ს.ს.ს-ის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა ორი ტელეკომპანიის და ლევან ხაბეიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

ს.ს.ს-ის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა ორი ტელეკომპანიის და დეპუტატ ლევან ხაბეიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

როგორც გრიგოლ ლილუაშვილის ადვოკატი მამუკა ღვინიაშვილი აცხადებს, ტელეკომპანიების „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ ეთერებით გავრცელდა ინფორმაცია ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმიანობის, ფულის მოპარვის სქემებთან დაკავშირებით და „ქოლ-ცენტრებთან“ შემხებლობაში მყოფ ერთ-ერთ პირად დასახელდა ს.ს.ს-ის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, რაც სიცრუეა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებით ზიანი მიადგა გრიგოლ ლილუაშვილის სახელს, ღირსებას და რეპუტაციას, რის გამოც სასამართლოს მიმართავს.

გრიგოლ ლილუაშვილის ადვოკატის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ტელეკომპანიების „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ ეთერებით გავრცელდა ინფორმაცია ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ საქმიანობის, მათი შესაძლო ფიგურანტების და მონაწილეების შესახებ.

გავრცელებული სიუჟეტებით „ქოლ-ცენტრებთან“ შემხებლობაში მყოფ ერთ-ერთ პირად დასახელდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი.

როგორც გრიგოლ ლილუაშვილის ადვოკატი, ვაცხადებ, რომ „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ ეთერებით გავრცელებული ინფორმაცია, ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ საქმიანობასთან, თაღლითურ, კრიმინალურ თუ ფულის მოპარვის სქემებთან ან რაიმე სახის დანაშაულებრივ ჯგუფებთან გრიგოლ ლილუაშვილის კავშირის შესახებ, არის სრული სიცრუე და ცილისწამება.

აღნიშნული ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებით შეილახა და ზიანი მიადგა გრიგოლ ლილუაშვილის სახელს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ტელეკომპანიების „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“, ასევე, ლევან ხაბეიშვილის მიმართ სასამართლოში წარდგენილია სარჩელი.

სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს: 1) იმ ფაქტების უარყოფა, რომელიც არის სრული სიცრუე და ცილისწამება; 2) მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების სახით სიმბოლურად 1 ლარის დაკისრება.

განვმარტავთ, რომ საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების მხედველობაში მიღებით, სასამართლოში წარდგენილი გვაქვს არგუმენტირებული და დასაბუთებული სარჩელი. სარჩელის წარდგენის მიზანი კი არის ის, რომ საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე, – ნათქვამია ადვოკატის განცხადებაში.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ორთაშენში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ორთაშენში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილი 45 წლის შალვა ტაბატაძე სამხედრო პირია.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, პირველადი ინფორმაციით, მამაკაცი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, ავტობანზე მამაკაცს სატრანსპორტო საშუალება დაეჯახა და სახიდე გადასასვლელიდან გადავარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

გლდანში „სპარი“ გაძარცვეს

გლდანში მაღაზია „სპარი“ გაძარცვეს. ობიექტში გაურკვეველი პირები შეიჭრნენ და ტერიტორიიდან მალევე მიიმალნენ.

რა წაიღეს მძარცველებმა, უცნობია. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო, თუმცა ჯერ დაკავებული არავინაა.

ქუთაისში მაღაზიიდან პროდუქტები წაიღეს

90-იანი წლების დაბრუნება და უკონტროლო კრიმინალი – ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, ხარებავას ქუჩაზე, მაღაზია გაქურდეს.

არსებული ინფორმაციით, წაღებულია პროდუქტები.

ცნობისთვის, აღნიშნულ ქუჩაზე რამდენიმე კვირის წინ 25 ავტომობილი გაქურდეს.

ხანძარი ყვარელში – შემთხვევას 80 წლის კაცი ემსხვერპლა

ხანძარი ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში – შემთხვევას 80 წლის კაცი ემსხვერპლა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, რის გამოც, დაკვამლიანების დროს, სახლის დატოვება ვერ შეძლო.

რაზე შეთანხმდნენ პუტინი და მაკრონი

საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის ვიზიტმა მოსკოვში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს საფრანგეთის ლიდერ მაკრონის პუტინთან შეხვედრამაც გაამძაფრა. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა პირველად განაცხადა საჯაროდ, რომ უკრაინაში არ შეიჭრება. მეტიც, მან თქვა, რომ ბევრს აკეთებს საიმისოდ, რომ ესკალაცია არ დაუშვას. შემდეგ პუტინმა დაამატა, რომ 20. 000 რუსი ჯარისკაცი, რომელიც ბელორუსში სამხედრო წრთვნებისას შევიდა, მათი დასრულების შემდეგ იქიდან გამოყვანილი იქნება. ცხადია, რომ ასეთი განცხადებები უმიზეზოდ არ კეთდება. ბევრი ექსპერტიც აცხადებდა, რომ პუტინმა და მაკრონმა უკრაინასთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს.

გამოცემა „დეილი მეილმა“ პუტინ-მაკრონის შეთანხმების დეტალებიც გაშიფრა. საფრანგეთის პრეზიდენტმა პუტინს უკრაინის ფინლანდიზაციის პროექტი შესთავაზა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში სსრკ-ფინეთს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც გამოირიცხა ფინეთის გაწევრიანება ბლოკებში (სულ ერთია, ეს ნატო იქნებოდა თუ ვარშავის პაქტი). ახლა მაკრონს სურს, რომ იგივე უკვე უკრაინის მიმართ განხორციელდეს. ფრანგ პოლიტიკოსს საკუთარი ინტერესები გააჩნია: საფრანგეთში არჩევნები კარსაა მომდგარი, მაკრონსაც საგარეო პოლიტიკაში გამარჯვება ჰაერივით სჭირდება. თუ საფრანგეთის პრეზიდენტი რუსეთ-უკრაინას შორის არსებულ დაძაბულობის განეიტრალებას შეუწყობს ხელს, ამით ის ჩაიწერს ქულებს და შედეგად არჩევნებში გამარჯვების შანსებს გაიზრდის. იმ ფაქტს, რომ პუტინთან გარიგებით უკრაინის სუვერენიტეტი შეიზღუდება, მაკრონისათვის მნიშვნელობა არა აქვს. საფრანგეთის ლიდერი არც იმაზე დაფიქრებულა, რომ პუტინმა უკრაინულ ფრონტზე მარცხი განიცადა და ნებისმიერ ფასად რევანშის აღებას შეეცდება, ნატოს მიღმა დარჩენილი უკრაინის მდგომარეობაც გართულდება.

როგორც ცნობილია, ნატოში მიღება კონსენსუსით ხდება. საკმარისია თუნდაც ერთი ქვეყნის წინააღმდეგობა და კანდიდატ ქვეყანას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში არ მიიღებენ. უკრაინის ნატოში მიღებას კი ეწინააღმდეგებიან გერმანია, საფრანგეთი, იტალია და უნგრეთი. შესაბამისად, უახლოეს მომავალში კიევს ნატოსკენ გზა დახშული აქვს. ამავე დროს უკრაინას არც პროდასავლურ კურსზე უარის თქმა შეუძლია. რუსეთის აგრესიული პოლიტიკა აიძულებს კიევს, მოკავშირენი დასავლეთში ეძებოს, მით უმეტეს, რომ ამას მოსახლეობის განწყობაც ხელს უწყობს. დღეისათვის უკრაინელთა 70% ნატოში გაწევრიანების მომხრეა. ამრიგად, არსებული სირთულეების მიუხედავად, უკრაინის საგარეო ვექტორი არ შეიცვლება.

უკრაინას ორად ორი გამოსავალი დარჩა: 1. ნატოში გაწევრიანების გარეშე აშშ-ის მოკავშირის სტატუსის მიღება; 2. ბრიტანეთ-პოლონეთის კავშირთან შეერთება. პერსპექტივაში მასში ბალტიის ქვეყნებიც გაწევრიანდებიან. ვიმედოვნებთ, რომ ამ კავშირს ადრე თუ გვიან საქართველოც შეუერთდება.

ამრიგად, პუტინ-მაკრონის გარიგების მიუხედავად, უკრაინის ე.წ. „ფინლანდიზაციის“ იდეას ხორცშესხმა არ უწერია. უკრაინა ტრანსატლანტიკურ კურსს გააგრძელებს. პარალელურად საკუთარ სამხედრო მრეწველობასაც განავითარებს. ბუნებრივია, ამას მოჰყვება კორუფციასთან და რუსეთის აგენტურასთან ბრძოლის მკვეთრი გააქტიურება. უკრაინის ხელისუფლებაშიც პატიოსანი, პატრიოტი და პროფესიონალი ძალები მოვლენ. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ კონკრეტულად ვინ იქნებიან ისინი.

ტონი ბლინკენი ავსტრალიაში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ტონი ბლინკენი ავსტრალიაში ჩავიდა. ამის თაობაზე იუწყება „ამერიკის ხმა“.

ჟურნალისტებთან საუბრისას ბლინკენმა განაცხადა, რომ ჩინეთი წყნარი ოკეანის რეგიონში ძლიერ გააქტიურდა და აშშ ყურადღებას მიაქცევს ამ ფაქტს.

პრორუსი დეპუტატი ამერიკის კონგრესში

აშშ-ის კონგრესის დეპუტატმა რომნეიმ (რესპუბლიკური პარტია) უკრაინისათვის სამხედრო დახმარების შეჩერება მოითხოვა:

– სისულელეა დავეხმაროთ უკრაინას, რადგანაც მექსიკასთან კედელი არ აშენებულა! – თქვა რომნეიმ.

დონბასელი სეპარატისტების ლიდერი სამხრეთ ოსეთში ჩავიდა

დონბასელი სეპარატისტების ლიდერი პუშილინი ცხინვალში ჩავიდა. ის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ პრეზიდენტ ჩიბიროვს შეხვდა და შემდეგ პარტია „ერთიანი ოსეთის“ მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.

პუშილინმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი უნდა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანდეს და რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს.

– ჩვენი მიზანი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა, – თქვა პუშილინმა.

აშშ და მისი მოკავშირენი ერთიანი არიან

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ოსტინმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი არ დაუშვებს რუსეთის მიერ საერთაშორისო წესრიგის დარღვევას. საუბარია უკრაინაში შეჭრის ნებისმიერ მცდელობაზე.

– ამას მკაცრი რეაგირება მოჰყვება და ამ საკითხში როგორც აშშ, ისე მისი მოკავშირენი ერთიანი არიან, – თქვა ოსტინმა.

პენტაგონის წარმომადგენელმა კირბიმ თავის მხრივ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ნატოს აღმოსავლეთ ფლანგს არაფერი ემუქრება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სიძე-პატარძალმა ნათესავების გამო ერთ წელიწადში სამჯერ იქორწინა

წყვილმა ერთი წლის განმავლობაში სამჯერ გადაიხადა ქორწილი სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ყველა ნათესავს მოეხერხებინა მათ ზეიმზე დასწრება.

არგენტინელმა ქალმა განაცხადა, რომ მანამდე არ უფიქრია გათხოვებაზე, სანამ მისმა მეგობარმა მამაკაცმა ამერიკის მენის შტატიდან არგენტინის ერთ-ერთ პლაჟზე ხელი არ სთხოვა. მანამდე ისინი ორი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს. როდესაც არგენტინელი მამაკაცს ცოლად გაყოლაზე დასთანხმდა, მომავალმა სიძე-პატარძალმა მაშინვე აცნობა ახალი ამბავი ნათესავებს, ესაუბრნენ ქორწილის გეგმებზე და მასზე დასასწრებად მიიწვიეს ისე, რომ თარიღი და ადგილი არ მიუთითებიათ.

ნათესავებმა წყვილს მიულოცეს, თუმცა, ამავე დროს, შეწუხებული იყვნენ იმის გამო, რომ არ იცოდნენ, სად აპირებდნენ შეყვარებულები ზეიმის გამართვას. იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტ ნათესავს გაეზიარებინა მათი სიხარული, წყვილმა გადაწყვიტა, სამჯერ ექორწინა.

ნიშნობიდან ერთ თვეში წყვილმა პირველი ქორწილი ნიუ იორკში, ბრუკლინში გადაიხადა. მას ესწრებოდნენ სიძისა და პატარძლის ნათესავები და მათი იქაური მეგობრები.

მეორე ქორწილი წყვილმა ურუგვაიში გადაიხადა, ვინაიდან პატარძლის 97 წლის ბებიასა და კიდევ ბევრ მის ნათესავს აშშ-ის ვიზა არ ჰქონდათ. ქალის აღიარებით, ეს ცერემონია მისთვის ყველაზე საყვარელი აღმოჩნდა, ვინაიდან ის პროფესიონალების მიერ იყო ორგანიზებული და ყველაზე ლამაზი საქორწინო კაბა ჰქონდა შერჩეული.

იმისთვის, რომ სიკვდილის პირას მყოფი სიძის დედა გაეხარებინათ, მესამე ქორწილი წყვილმა მენში გადაიხადა. ქორწილი ბუნებაში იზეიმეს. ამავე დროს, ცოლ-ქმრის თქმით, ისინი მხოლოდ ქორწილის იმ დღეს ზეიმობენ, როდესაც ოფიციალურად შეუღლდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იოსებ ხვედელიძე კინომსახიობთა თეატრიდან წავიდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლად ვერ ვხედავდი არსებული უსამართლობის გამო და უარი ვთქვი ამ შეხვედრაზე. მოვითხოვე, განცხადება შესაბამის დაფაზე განთავსებულიყო. ჩემი წასვლის ნამდვილი მიზეზი მინდოდა გაეგოთ ჩემს კოლეგებს. რა თქმა უნდა, ასე არ მოხდა. ამიტომ გიზიარებთ ჩემს განცხადებას. ცხადია, აქ არ დასრულდება ამ თემაზე მსჯელობა და ყოველთვის მოძებნიან თავის გასამართლებლად არგუმენტებს. ძალიან მტკივნეული და უიმედოა ამ სამარცხვინო დეტალების ჩამოთვლა. შესაბამისად, თავს აღარ შეგაწყენთ. ვუსურვებ ყველას წარმატებას. დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს და კოლეგებს ერთად გატარებული წლებისთვის. იმედია, სწორად გაიგებთ ამ იძულებითი გადაწყვეტილების მიზეზს.

იოსებ ხვედელიძის განცხადებაში წერია:

– გთხოვთ მიიღოთ ჩემი ოფიციალური მიმართვა დაკავებული თანამდებობის დატოვების თაობაზე. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ვიმყოფები 2009 წლიდან, როგორც მოწვეული მსახიობი, ხოლო 2012 წლიდან ვარ თეატრის დასის წევრი. თუ ამ წლების განმავლობაში თეატრი მაძლევდა პროფესიული განვითარებისა და გაზრდის პერსპექტივას, ბოლო წლების მანძილზე, ჩემი დაკავებულობის ხარისხი და, შესაბამისად, ანაზღაურება პრაქტიკულად განულებულია.

2017 წელს რეპერტუარიდან მოიხსნა ყველა სპექტაკლი ჩემი მონაწილეობით. მიზეზად დასახელდა დამდგმელი რეჟისორის გამოუცხადებლობა აღდგენით რეპეტიციებზე, თუმცა ამავე რეჟისორის სხვა სპექტაკლები დაბრუნდა რეპერტუარში მისგან დამოუკიდებლადაც.

ვიცი, რომ თეატრის კოლექტივში არსებობს მოსაზრება, თითქოს მე ყველა შემოთავაზებულ როლზე უარს ვამბობ. თუმცა ჩემი თეატრში ყოფნის 13 წლის მანძილზე ასეთი შემთხვევა მხოლოდ სამჯერ მოხდა და სამჯერვე სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო.

ასევე აღსანიშნავია, რომ თეატრში მსახიობებს გვაქვს გარკვეულ პროექტებზე უარის თქმის უფლება და ეს უფლება თეატრთან შეთანხმებით გამოვიყენე არა მხოლოდ მე, არამედ დასის სხვა წევრებმაც. ამიტომ ვფიქრობ, ეს არ გახდებოდა თეატრის ახალი პროექტების აბსოლუტურ უმრავლესობაში დაუკავებლობის მიზეზი, თუკი თეატრს ჩემთან თანამშრომლობა სურდა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვეღარ ვხედავ დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენის აზრს და გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი თხოვნა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

შედეგები

9 თებერვალი

მსოფლიოს საჯუბო ჩემპიონატი

ალ ჰილალი-ჩელსი 0:1

ინგლისი. ჰემიეიფიგა

სიტი-ბრენტფორდი 2:0
ნორვიჩი-კრისტალი 1:1
ტოტენჰემი-საუთჰემპტონი 2:3
ასტონ ვილა-ლიდსი 3:3

საატენიო ცხრილი:

1.სიტი	24	19	3	2	57-14	60
2.ლივერპული	22	14	6	2	58-19	48
3.ჩელსი	24	13	8	3	48-18	47
4.ვესტ ჰემი	24	12	4	8	42-31	40
5.მანჩესტერი	23	11	6	6	37-31	39
6.არსენალი	21	11	3	7	33-25	36
7.ტოტენჰემი	21	11	3	7	28-27	36
8.ვულვზი	21	10	4	7	19-16	34
9.ბრაიტონი	22	6	12	4	23-23	30
10.საუთჰემპტონი	23	6	10	7	29-36	28
11.ასტონ ვილა	22	8	3	11	31-35	27
12.ლესტერი	20	7	5	8	34-37	26
13.კრ.პალასი	23	5	10	8	32-35	25
14.ბრენტფორდი	24	6	5	13	26-40	23
15.ლიდსი	22	5	8	9	27-43	23
16.ევერტონი	21	5	4	12	25-38	19
17.ნიუკასლი	22	3	9	10	24-44	18
18.ნორვიჩი	23	4	5	14	14-46	17
19.უოტფორდი	22	4	3	15	23-41	15
20.ბარნლი	20	1	11	8	17-28	14

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბლეკბერნი-ნოტინგემი 0:2
ბორნმუთი-ბირმინგემი 3:1
ბრისტოლი-რედინგი 2:1
კარდიფი-პიტერბრო 4:0
ქპრ-მიდლსბრო 2:2
პრესტონი-ჰადერსფილდი 0:0
შეფილდი-ვესტ ბრომვიჩი 2:0

ესპანეთი. თასი

რაიო-ბეტისი 1:2

იტალია. თასი

მილანი-ლაციო 4:0

საფრანგეთი. თასი

ნიცა-მარსელი 4:1

ბელგია. ა დივიზიონი

ვარეგემი-ოსტენდე 0:0
ლეუვენი-გენკი 2:1

შოტლანდია. ჰემიეიფიგა

აბერდინი-სელტიკი 2:3
დ.იუნატედი-მოზერველი 2:0
რეინჯერსი-ჰიბერნიანი 2:0
როსი-ლივინგსტონი 1:1
სტ.მირენი-სტ.ჯოანსტონი 2:1
ჰართსი-დანდი 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მორის ყვითელაშვილი ოლიმპიადაზე ათეულში მოხვდა

პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშებზე მორის ყვითელაშვილმა კაცთა შეჯიბრების თავისუფალ პროგრამაში მსაჯებისგან 170.64-ქულა დაიმსახურა. 2 პროგრამის ჯამში კი, მისმა მაჩვენებელმა 268.62 ქულა შეადგინა. შედეგად, საქართველოს მოციგურავეთა ნაკრების ლიდერმა პეკინის თამაშებზე გამოსვლა მე-10 ადგილით დაასრულა.



მორისი პეკინში ორიგინალური თავისუფალი პროგრამით წარდგა, რომელიც რთული ხტომებისა და ეფექტური მხატვრული ელემენტებისგან შედგებოდა. სრიალისას რამდენიმე დასანანი ხარვეზი რომ არა, მას შეეძლო ხუთეულში შეენარჩუნებინა ადგილი.

პეკინის ოლიმპიურ ყინულზე თავისუფალ პროგრამაში მიღებული ქულები ყვითელაშვილის საუკეთესო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ ორჭიდის ჯამში შარშან, როსტელეკომის თასზე ნაჩვენები თავისივე შედეგი 2.29 ქულით გაუმჯობესა, რაც პეკინშივე მანამდე ეფექტურად შესრულებულმა მოკლე პროგრამამ განაპირობა. აქ მორისმა მსაჯებისგან მისთვის საუკეთესო შეფასება – 97.98 ქულა და მე-5 ადგილი დაიმსახურა. აქამდე ქართველი მოციგურავის საუკეთესო მაჩვენებელი 95.37 ქულა იყო, რომელიც შარშან იმავე როსტელეკომის თასზე მიიღო და ამ ტურნირის გამარჯვებულიც გახდა.

აქამდე ერთეულთა თანრიგში საუკეთესო ოლიმპიური შედეგი 2006 წელს, ტურინის თამაშებზე გვქონდა. მაშინ ელენე გედევანიშვილმა ქალთა შეჯიბრებაში ასევე მე-10 ადგილი დაიკავა.

მედლების მორიგი კომპლექტი გათამაშდა სლალომშიც. სტარტზე 88 მონაწილე წარდგა, შეჯიბრება კი, 50-მა მათგანმა დაასრულა. საქართველოს, ისევე, როგორც გიგანტურ სლალომში, ნინო წიკლაური წარმოადგენდა.

28 წლის ქართველმა მოთხილამურემ პირველი დაშვებისას ტრასა 1.00,11 წუთში გაიარა და 47-ე შედეგი ჰქონდა. წიკლაურმა მეორე ცდას ცოტა მეტი – 1.00,37 მოანდომა, მაგრამ უკეთესი – 42-ე შედეგი აღმოაჩნდა. ასეთივე შედეგი ჰქონდა 2 დაშვების ჯამშიც (2.00,48).

აღსანიშნავია, რომ წიკლაურს ვანკუვერის 2010 წლის თამაშებზე სლალომში 50-ე შედეგი ჰქონდა, სოჭის 2014 წლის თამაშები უშედეგოდ დაასრულა, პიონჩანგის 2018 წლის თამაშებზე – 39-ე.

შეგახსენებთ, რომ წიკლაურმა პეკინში გიგანტურ სლალომშიც იასპარეზა და 2 დაშვების ჯამში (2.09,87) მისთვის საუკეთესო, 34-ე ადგილი დაიკავა.

ესპანური მედია მამარდაშვილს შეუმჩნეველ გმირს უწოდებს

ქართველი მეკარე გიორგი მამარდაშვილი ლა ლიგაში ხმაურიანად დაბრუნდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანზე გასულ ჩვენებურს ესპანურმა მედიამ სტატია მიუძღვნა.

ას-ის ჟურნალისტი **ნაჩო სანჩისი** წერს:

– მამარდაშვილი სოსიედადთან შეხვედრაში მოედანს დაუბრუნდა. ეს მოხდა მისი ბოლო გამოჩენიდან 5 თვის შემდეგ. ამ დროის მანძილზე თასზეც კი არ ათამაშეს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ჩინებული მატჩი ჩაატარა და გოლი არ გაუშვა. 2-ჯერ ჩინებულად იხსნა კარი და ოვაცია „მესტალიას“ ტრიბუნებზე კვლავ დაიმსახურა.

ისევე, როგორც წინა 6 შეხვედრაში, ქართველმა ამჯერადაც გვაჩვენა, რომ გარდა მომავლისა, გუნდის დღევანდელი დღეც არის. კარში იდგა და ვალენსიამ გოლი არ გაუშვა – ასეთი რამ კი, ნოემბრის მერე არ მომხდარა. სულ, მიმდინარე სეზონში, გუნდმა მხოლოდ 6 მატჩში არ გაუშვა გოლი. საინტერესოა, რომ ამ 6-დან, 3-ში კარს სწორედ მამარდაშვილი იცავდა.

აი, მამარდაშვილის ესპანური კარიერის კიდევ ერთი თავი:

– ვალენსიას შეუმჩნეველი გმირი ჰყავს – მეკარე გიორგი მამარდაშვილი., რომელიც თბილისის დინამოს აღზრდილია. ლა ლიგის ბოლო ტურის სტატისტიკის მიხედვით, მამარდაშვილი ვალენსიასა და სოსიედადის მატჩის (0:0) საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

მთლიანობაში, გიორგიმ ვალენსიაში 7-ჯერ ითამაშა (მათ შორის, მადრიდის რეალთან), 7 გოლი გაუშვა და 3-ჯერ კარი ნულზე შეინახა.

ახლა, როდესაც იასპერ სილესენი ტრავმირებულია, ხოლო მისი შემცვლელი, ადგილობრივი პუბლიკის ფავორიტი, ხაუმე დომენეკი არასტაბილურია, მამარდაშვილი მზად არის, ნომერ პირველი ხელმეორედ გახდეს. მწვრთნელი ხოსე ბორდალასი მას კვლავ ენდობა...

ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი, გავიცნოთ „მამარდა“ – ასე ეძახიან ქართველ მეკარეს როგორც მშობლიურ ქუთაისში, ისე ვალენსიას გულშემატკივრებში. სულ ახლახან, უეფას ვებგვერდების რედაქტორებისა და რეპორტიორების მიხედვით, 2021 წლის 50 ევროპელ ნიჭიერ ფეხბურთელში მოხვდა.

აი, რას წერდა ერთ-ერთი ჟურნალისტი:

– საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ძირითადმა მეკარემ უკვე მოასწრო თავი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც გამოეჩინა. გვაქვს მკაფიო შეგრძნება, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ზედიზედ 2 სეზონში – 2016-17 და 2017-18 წლებში, გიორგი თბილისის დინამოს მაისურით მოედანზე არასოდეს გასულა. სათამაშო პრაქტიკის გამო იჯარით ჯერ რუსთავში (7 „მშრალი“ კარი, 43 გაშვებული გოლი 28 მატჩში), შემდეგ თბილისის ლოკომოტივში (8 „მშრალი“, 43 გაშვებული გოლი 35 მატჩში) წავიდა.

სწორედ მამარდაშვილი იდგა თბილისის ლოკომოტივის კარში, როდესაც ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსკოვის დინამოსთან, როდესაც შინ წაგებით (ლოკომოტივმა ის მატჩი 2:1 მოიგო) დაბრუნებულ რუსებს გულშემატკივრები ცნობილი სარკაზმული ბანერით დახვდნენ – მადლობა ევროსეზონისთვის.

ამ მატჩის შემდეგ მამარდაშვილმა თქვა, რომ აქამდე ასეთ მაღალ დონეზე არასდროს უთამაშია. ამავდროულად, მოსკოვის დინამოსთან მატჩის შემდეგ პრემიები არ გაცემულა და გამარჯვების მოტივაციისთვის საჭირო არ იყო...

გიორგი მამარდაშვილი:

– ეს იყო არა მხოლოდ ლოკომოტივის, არამედ მთელი ქვეყნის გამარჯვება. გულშემატკივრებისგან ახლაც კი უამრავ შეტყობინებას ვიღებ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მატჩს ვერ დაესწრნენ, ბევრი მაინც ვერ შემოვიდა სტადიონზე, მაგრამ გარეთ გველოდნენ, როცა სტადიონიდან ავტობუსით გამოვედით. ჩვენი გამარჯვება ყველა ქართულ მედიაში მთავარი ამბავი იყო, – ამბობს მამარდაშვილი.

იმ მატჩის მონაწილე მოსკოვის დინამოს მცველმა ივან ორდეცმა მაშინ განაცხადა, რომ მამარდაშვილმა დიდებული მატჩი ჩაატარა და მისით ევროპის ნებისმიერი კლუბი დაინტერესდებოდა.

ეს კლუბი კი ვალენსია აღმოჩნდა. ჯერ იჯარა, შემდეგ კი – გამოსყიდვა და ახლა „მამარდას“ ვალენსიასთან კონტრაქტი 2024 წლამდე აკავშირებს. მისი გამოსასყიდი ფასი კი, 20 მილიონი ევროა.

გიორგიმ პირველი მატჩი ვალენსიაში 2021 წლის შემოდგომაზე, ხეტაფეს წინააღმდეგ ჩაატარა და გახდა მე-2 ყველაზე ახალგაზრდა მეკარე, რომელსაც კლუბში დებიუტი ჰქონდა (20 წელი და 318 დღე). პარალელურად, „ღამურების“ ლეგენდარულმა მეკარემ, **სანტიაგო კანისარესმა** სოციალური ქსელში დაწერა, რომ ქართველის სჯერა:

– ეჭვი არ მეპარება, რომ ის მაღალ დონეზე ითამაშებს.

მთავარმა მწვრთნელმა ხოსე ბორდალასმა კი თქვა, რომ გიორგის ყველაფერი იდეალური აქვს...

მართალია, მეკარე სათადარიგოთა სკამზე იჯდა უკვე 2021 წლის სექტემბრის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც სევილიასთან 3 გოლი გაუშვა. თანაც, უკვე 22-ე წუთზე...

ვალენსიამ 1:3 წააგო, ესპანური მედია კი ქართველ მეკარეს აკრიტიკებდა და მის თამაშს კატასტროფულს უწოდებდა. გიორგიც დიდხანს დარჩა უქმად. ამას თან დაერთო, რომ იანვრის ბოლოს მამარდაშვილი ატლეტიკოსთან ლა ლიგის მატჩზე უჩვეულო მიზეზის გამო არ წასულა – შემადგენლობაში ჭარბი წონის გამო ვერ მოხვდა. თუმცა, აგერ უკვე მეორე შანსია და...

ვალენსიაში მამარდაშვილზე ხუმრობაც აქვთ – მისი სიმაღლე (199) და გვარი ერთი ზომის არისო. ენას სწავლობს, მანამდე მოედანზე მარტივი ფრაზებით შემოიფარგლება.

გიორგი მოკრძალებულ ბინაში ცხოვრობს – პატერნაში, ვალენსიის გარეუბანში, სადაც კლუბის ბაზაა განთავსებული და ბევრი ფორთოხალი იზრდება.

საქართველოს თასზე გუნდები დაწყვილდნენ



საქართველოს საკალათბურთო თასის გათამაშების მორიგი სეზონი 16 თებერვალს დაიწყება. ტურნირის წილისყრა შედგა და მერვედფინალური წყვილებიც გაირკვა. ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გამო წილისყრა ონლაინრეჟიმში ჩატარდა.

იმავე ეპიდვითარებიდან გამომდინარე, თასის გათამაშების ფორმატი დროში შემჭიდროვდა. კერძოდ, მერვედფინალი და მეოთხედფინალი 1-მატჩიანი იქნება. ტურნირში სუპერლიგის 11 და ა ლიგის 5 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც წილისყრისთვის 4 კალათაში გადანაწილდნენ. პირველ კალათაში სუპერლიგის პირველი წრის შემდეგ 1-5 ადგილებზე მყოფი გუნდები მოხვდნენ (ქუთაისი, თსუ, ვერა, ოლიმპი, ბათუმი). მე-2 კალათა მომდევნო 3-მა გუნდმა შეავსო – რუსთავმა, მეგამ და ცხუმ-აფხაზეთმა. მე-3 კალათაში თავი სუპერლიგის პირველი წრის შემდეგ ბოლო 3 ადგილზე მყოფმა გუნდებმა – ტიტებმა, კაკტუსმა და დინამომ მოიყარეს, ხოლო ბოლო, მე-4 კალათაში ა ლიგის სეზონისწინა რეიტინგით 5 საუკეთესო გუნდი – მგზავრები, კავკასია, მარგვეთი და ორბი მოხვდნენ.

პირველ და მეორე კალათებში განთესილ გუნდებს მერვედფინალში მოედნის უპირატესობა ექნებათ, ხოლო მეოთხედფინალურ წყვილებში მასპინძლები ის გუნდები იქნებიან, რომლებიც თავდაპირველ განთესვის კალათებში მეტოქეზე უკეთეს პოზიციაზე იქნებიან.

მეოთხედფინალიდან გასული გუნდები ოთხთა ფინალში იასპარეზებენ, რომელიც ერთ ქალაქში ჩატარდება. ოთხთა ფინალის გამართვის დრო და ადგილი მარტის თვეში გახდება ცნობილი.

მერვედფინალში კი გუნდები ასე დაწყვილდნენ: ცხუმი-დინამო; მეგა-ტიტები; ოლიმპი-კავკასია; ვერა-მგზავრები; თსუ-ორბი; ქუთაისი-გთსუ; ბათუმი-მარგვეთი; რუსთავი-კაკტუსი.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბორჯღალოსნები ნიდერლანდებში შეცვლილი შემადგენლობით მიდიან

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ნიდერლანდებთან სათამაშოს სასტარტო შემადგენლობა დაასახელა.

პორტუგალიასთან (25:25) ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ, 15-ეულში 7 ცვლილებაა. გუნდს დაუბრუნდნენ კოვიდმოხდილი მოთამაშეები. ცვლილებებია ტრავმებისა და ტაქტიკური მოსაზრებების გამოც.

სრულად შეიცვალა შერკინების პირველი ხაზი და თამაშს მიხეილ ნარიაშვილი, შალვა მამუკაშვილი და ლუკა ჯაფარიძე იწყებენ. მარქაფაში გადაინაცვლა გურამ გოგიჩაშვილმა, ხოლო ტრავმირებული ბექა გიგაშვილის ნაცვლად, მეორე ბურჯად ნიკა ხატიაშვილს ვიხილავთ, ხოლო კვაჭის პოზიციაზე გიორგი ჭყოიძე ბრუნდება.

მეორე ხაზში გრიგორ ქერდიყოშვილის ნაცვლად ლაშა ჯაიანს ნოდარ ჭეიშვილი შეუწყვილდება, მარქაფაში გიორგი ჯავახია დარჩა.

ერთი ცვლილებაა მესამე ხაზში. სანდრო მამამთავრიშვილმა მარქაფაში გადაინაცვლა და მის ნაცვლად თამაშს გიორგი ცუცქირიძე იწყებს. ძირითადში ადგილი შეინარჩუნეს ოთარ გიორგაძემ და თორნიკე ჯალაღონიამ.

9 ნომრის პოზიციაზე ბრუნდება ვასილ ლობჟანიძე, რომელიც თედო აბჟანდაძეს შეუწყვილდება. ფრთაზე მირიან მოდებაძის ნაცვლად ძირითადში დავით მესხი დაწინაურდა. მერაბ შარიქაძე, დემე თაფლაძე, აკა ტაბუცაძე და ლაშა ხმალაძე კვლავ დამწყებებს შორის არიან. შეცვლაზე არიან გელა აფრასიძე, გიორგი ბაბუნაშვილი და 18 წლის შუამარბი თორნიკე კახოიძე.

ლევან მაისაშვილი:

– არაერთხელ მითქვამს, რომ ამ თამაშებზე ექსპერიმენტებს მინიმალური რაოდენობით ვგეგმავდით, რადგან თამაშის დასტაბილურებაა საჭირო და შემადგენლობის მუდმივი როტაცია პრობლემებს ქმნის. სამწუხაროდ, პირველ თამაშზე ეს ვერ მოვახერხეთ, რადგან ბევრი ტრავმირებული და კოვიდ-ინფიცირებული მოთამაშე გვყავდა. ნიდერლანდებში 5 ქულისთვის მივდივართ, მაგრამ ეს მატჩი უფრო რუსეთთან მატჩისთვის მოსამზადებელ ეტაპადაც განიხილება და საშუალებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობა დავაყენეთ. ამავდროულად, გვსურს საქმეში ვიხილოთ თორნიკე კახოიძე, რომელმაც ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოიჩინა თავი და ძალიან კარგი მონაცემები აქვს. ვიმედოვნებთ, რომ საუკეთესოდ წარმოაჩენს თავს.

ნიდერლანდებისა და საქართველოს მატჩი 12 თებერვალს 16:15 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მონასტრის მსახური; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ცოლის დედა; 9. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 17. მზის სისტემის პლანეტა; 19. ესპანელი აზნაური; 20. ძნელად შესაგუებელი, უხასიათო ადამიანი.

თარაზულად: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. უდაბნოს ცხელი ქარი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. საჯარო კამათი ლიტერატურულ, მეცნიერულ საკითხზე; 22. მდინარე ოზურგეთში; 23. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გილდია; 2. გუნო; 3. გერიატრია; 4. ლიოვი; 5. დარჯაკი; 8. დიზელი; 9. დარბაზობა; 12. ბაიათი; 14. რეიმსი; 16. ომეგა.

თარაზულად: 1. გარპაგონი; 6. გეორგიკა; 7. ლონდონი; 9. დასინი; 10. ჯიდა; 11. მერკური; 13. გორდი; 15. დარიკო; 17. ვალონია; 18. საირმე; 19. ვოლსკი; 20. ტალანტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბეიძინი; 2. პუშკაში; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიზნესი; 9. ვილაიეთი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. პუებლო.

თარაზულად: 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ჟინვალი; 11. შოვი; 14. ყინწვისი; 15. ტალახაძე; 18. კოპოლა; 21. სალომეა; 22. გურჯი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9544

ევრო — 3.3801

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0079

100 რუსული რუბლი — 3.9513

ამინდის პროგნოზი 11 თებერვლისათვის

პიკე ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს

ბარსელონას ცენტრალურ მცველზე ჟერარ პიკეზე ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ ის მალე კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ თვითონ პიკემ ამ თემაზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მას კიდევ რამდენიმე წელიწადი აქვს დარჩენილი და ის არ აპირებს, რომ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს: „მინდა, რომ ფეხბურთისგან სიამოვნება მივიღო და გამიჭირდება იმის გაანალიზება, რომ ფეხბურთს ვეღარ ვითამაშებ. ჯერჯერობით ეს მომენტი არ დამდგარა“

მესი ბარსელონას თამაშებს ისევ უყურებს

ბარსელონას ლეგენდა ლიონელ მესი გუნდის თამაშებს ისევ ადევნებს თვალს მიუხედავად იმისა, რომ მან გუნდი დატოვა და ამჟამად მესი პსჟ-ს ღირსებას იცავს. მესიმ განაცხადა, რომ ბარსელონა მისთვის ყოველთვის ძალიან ძვირფასი იქნება: „ბარსელონას თამაშებს ვუყურებ და ვხედავ, რომ გუნდს პროგრესი აქვს და მინდა, რომ ასე გაგრძელდეს. როდესაც დრო მაქვს, ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს ვეკონტაქტები ხოლმე“.

რანგნიკი შესაძლოა მალე გაათავისუფლონ

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი რალფ რანგნიკი შესაძლოა მალე თანამდებობიდან გაათავისუფლონ, რადგან ხელმძღვანელობა მისი მუშაობით უკმაყოფილოა და ისინი უკვე მის შემცვლელს ეძებენ. რანგნიკს ასევე დაძაბული ურთიერთობა აქვს რამდენიმე ფეხბურთელთან, რომლებსაც მისი მუშაობის სტილი არ მოსწონთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ეგვიპტელი ქალი 43 წელი სამსახურში თავს მამაკაცად ასაღებდა

ეგვიპტელი სისა აბუ დაუხი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საკუთარ სქესს მალავდა და თავს მამაკაცად ასაღებდა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ქალიშვილის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე, ქალი ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დარჩა. ახლობლებს მისი ხელმეორედ გათხოვება სურდათ, მაგრამ 22 წლის გოგონას ამის გაკეთება არ უნდოდა.

იმისთვის, რომ სამსახური ეშოვა, მას საკუთარი სქესის დამალვა მოუხდა. ის იცვამდა გალაბეიუს (ფართოსახელოებიანი, გრძელი მამაკაცის სამოსი) და თეთრ ტიურბანს. ასევე იცვამდა მამაკაცის ფეხსაცმელებს. ქალი აგურისა და ცემენტის დატვირთვაზე მუშაობდა, ასევე დაკავებული იყო მშენებლობაზე.

ქალი მამაკაცად თავის გასაღებას 43 წლის განმავლობაში ახერხებდა. როდესაც მისი საიდუმლო გამჟღავნდა, ქალმა მშობლიური ქალაქი დატოვა. მიმდინარე წელს ეგვიპტის ხელისუფლებამ ქალს გადასცა ჯილდო „იდეალური დედა“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 თებერვლისათვის

ვერძი – კოსმოსი ენერგიით გაძლიერებთ. ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით. **კურო** – ინტუიციას მიენდეთ. ჯანსაღი საკვები მიიღეთ. წვრილმანებზე ენერგიას ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** – ნებისყოფა მოიკრიბეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. მოაწესრიგეთ ბინა. **კირჩხიბი** – საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა იდეალური არ არის. ამიტომ ემოციები მოთოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – ყურადღება არ მოადუნოთ. ფინანსები აკონტროლეთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **ქალწული** – იფრთხილეთ. ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **სასწორი** – კომპრომისზე წასვლა დღეს სავალდებულოა. დღის მეორე ნახევარში აქტიურობა არასასურველია. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი დღეა. სამსახურში წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად რისკიან ნაბიჯებს გადადგამთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ მარტო დარჩენას. საოჯახო საქმეების მოგვარება და გადაღლა სასურველი არ არის. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დიდი ყურადღება და წინდახედულობა გმართებთ. **მერწყული** – ბიუჯეტი გულმოდგინედ აკონტროლეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **თევზები** – მიღწეულით ნუ დაკმაყოფილდებით. სასურველი შედეგის მისაღებად დიდი შრომა დაგჭირდებათ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცი სადგურის მორიგეს ეკითხება:

– რამდენ ხანში მოვა მატარებელი?

– 15-20 წუთში.

– აუ, მე რომ ძალიან მეჩქარება?

– თუ მასეა, ლიანდაგებს გაუყევი სირბილით და წამოგეწევა საცხა.

●●●

მამაკაცი ბარში შევიდა. მარტინის ორმაგი ულუფა შეუკვეთა. დალია, პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან სურათი ამოიღო, დახედა, უკანვე დააბრუნა და კიდევ ორმაგი მარტინი შეუკვეთა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ბარმენმა ვეღარ მოითმინა და შეეკითხა:

– მომისმინე, მთელ ბოთლს მოგცემ, მხოლოდ მითხარი, რას ნახულობ ყოველი შეკვეთის წინ?

– ჩემი ცოლის სურათია, როგორც კი შევატყობ, რომ მომწონს, მაშინვე სახლში წავალ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მაგარი იაპონური მანქანა ვიყიდე, ფიქრებით იმართება.

– გილოცავ! და მერე, სად არის?

– სახლის ეზოში მიყენია... ხელის მუხრუჭს ვერაფერი მოვუხერხე...

●●●

ნარკომანი ახლად შერთულ ცოლს ეკითხება:

– ქალიშვილი ხარ?

– კი.

– აუ, ახლა ამას ეჯაჯგურე კიდევ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იოსებ ხვედელიძე კინომსახიობთა თეატრიდან წავიდა

მსახიობი იოსებ ხვედელიძე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრიდან წავიდა. ამის მიზეზი, მისივე განცხადებით, თეატრის მიერ დაწესებული „სასჯელი“ გახდა:

– შეიძლება გადაჭარბებულია იმის იმედი, რომ ბოლო მსახიობი ვიქნები, რომელიც თეატრს იმ მიზეზით ტოვებს, რა მიზეზიც გახდა ჩემ შემთხვევაში გადამწყვეტი. 2017 წლის შემდეგ თეატრმა გარკვეული „სასჯელი“ დამიწესა ჩემი შეხედულებების გამო. მოიხსნა ყველა ის სპექტაკლი, რაშიც ვიღებდი მონაწილეობას და ფაქტობრივად გამინულდა ხელფასი. ჩარიცხული თანხის ნაწილი იქვითებოდა ჯანმრთელობის დაზღვევაზე. წლების განმავლობაში დაზღვევის ფასის ზრდასთან ერთად, ხელზე ასაღები თანხის ოდენობა მცირდებოდა. განახლებული სადაზღვევო პოლისის შემდეგ კი, „დარჩენილმა“ თანხამ შეადგინა მხოლოდ 7 ლარი. დიდი მადლობა თეატრს დაზღვევისთვის. ჩემგან დაუსწრებლად, სავარაუდოდ, ბევრი არგუმენტი გაჩნდა მათი ნაბიჯის გასამართლებლად. 5 წლის განმავლობაში თეატრს არც ერთხელ გამოუთქვამს ჩემთან დიალოგის სურვილი. მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა ეს სურვილი, რაც განცხადება დავწერე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. დიალოგის რესურსს ნამდვი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ბერლინის კინოფესტივალზე ქართულ ფილმებს აჩვენებენ

ბერლინის რიგით 72-ე საერთაშორისო კინოფესტივალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ფილმებს გააერთიანებს.

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ევროპული კინობაზრობის ფარგლებში, ეროვნული კინოცენტრი წელს მე-17 წარადგენს საქართველოს პავილიონს, სადაც ინდუსტრიული კუთხით იმუშავებს ეროვნული კინოცენტრის გუნდი კინოცენტრის დირექტორის – გაგა ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

ევროპულ კინობაზარზე ეროვნული კინოცენტრი წარადგენს სამ ქართულ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს: „სამურაი დასვენების ჟამს“ – რეჟისორი ლევან თუთბერიძე (საქართველო) 13 თებერვალი. „მშვენიერი ელენე“ – რეჟისორი გიორგი ოვაშვილი (საქართველო, საფრანგეთი, თურქეთი) 14 თებერვალი და „ლოტო – იგავი ზღვისპირა ქალაქზე“ – რეჟისორი ზაზა ხალვაში (საქართველო, ლიეტუვა) 15 თებერვალი.

რეჟისორ ლიანა გოგელიას საზოგადოების დახმარება სჭირდება



86 წლის მარტოხელა რეჟისორს ლიანა გოგელიას საზოგადოების დახმარება ესაჭიროება.

ინფორმაცია **ანი ეცადაშვილმა** გაავრცელა:

– სამწუხაროდ, გასაჭირი ცნობადი ადამიანებისთვისაც არსებობს, დიახ, არსებობს გამოჩენილი წარმატებული რეჟისორი ლიანა გოგელია, რომელიც ყველასათვის ცნობილი სერიალის „ცხელი ძაღლი“ ოსკარზე წარდგენილ გარდაცვლილ რეჟისორ ზაზა ურუშაძესთან ერთად მეორე რეჟისორი იყო!

ახლა? ახლა მორიგი 86 წლის მარტოხელა მოხუცია, რომელსაც წლებია არავინ კითხულობს და პატრონობს. მიუხედავად წარმატებული ცხოვრებისა, უამრავი თაყვანისმცემლებისა, ბებო არ გათხოვილა, შესაბამისად, არც შვილი ჰყავს, არც შვილიშვილი, აღარც ცოცხალი მეგობრები. ლიანა ბებო მარტოხელა გაუბედურებული მოხუცებულია.

სიტყვებით ვერ გადმოგცემთ მის გაჭირვებას მორალურს, სულიერს. ლიანა ბებომ მითხრა – ყველა ქალი უნდა გათხოვდეს, შვილები გააჩინოს, რათა ჩემსავით გარეთ მყოფ ცხოველებს არ ელაპარაკოსო.

მოვიფიქროთ რაიმე, ამ ადამიანმა უამრავი ფილმი, სერიალი გვაჩუქა, ფაქტობრივად სიცოცხლე მოგვიძღვნა. ბებოს მარცხენა ყურში სმენა დაუქვეითდა, ფეხზე დახვეული აქვს ელასტიკური ბინტები, თრომბი რომ არ დაიძრას და ფატალური შედეგი არ დადგეს! კატარაქტა, არითმია ასაკის თანმხლები დაავადებებით არის დახუნძლული. პენსიით საკვები, ასეა თუ ისე, აქვს, მაგრამ მის კვლევებს და მკურნალობას, ოპერაციის ხარჯებს, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყოფს. მე მჯერა თქვენი და ამ ჯგუფის, რომ აქ ხართ ის ადამიანები, ვინც ლიანა ბებოს საქართველოს წინაშე ღვაწლს დაუფასებს და მარტოსულ და დუხჭირ წუთისოფელში , ოდნავ მაინც გაუმარტივებს ცხოვრებას და გაუხარებს გულს.

გია ჯაჯანიძე: „ყველა მიყვარხართ და არ დავეძებ, თქვენ თუ არ გიყვარვართ“

ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე ბედნიერია, რომ სიყვარული შეუძლია.

– ყველა მიყვარხართ და არ დავეძებ, თქვენ თუ არ გიყვარვართ.

აგრესიაც კი არ მაღიზიანებს თქვენი, იმიტომ, რომ აგრესია თქვენია და რაც თქვენია, უფლება გაქვთ გამოიყენოთ საჭიროებისა და არასაჭიროების შემთხვევაში, მთავარია გაიაზროთ, რას გაძლევთ და რაში გადგებათ.

უბრალოდ „არ გევასებით? ესეც მოსულა“. თქვენ როგორ გგონიათ, განა არ ვიცი, ყველა რომ არ უნდა მიყვარდეს, მაგრამ რა ვქნა, მე ასეთი დავიბადე. თქვენც ხომ თქვენებური ხართ.

მე მოვიგე ამ სიყვარულით და არ მოვითხოვ საპასუხოს, ჩემთვის მთავარია, მე მიყვარხართ, დანარჩენი განგების ნებაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. განუხორციელებელი ოცნება; 2. თაფლგამოცლილი ცარიელი ფიჭა; 3. ფრანგი მწერალ-მეიგავე; 4. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 5. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 8. სამშენებლო, ნარევი მასალა; 9. გაეროს გენერალური მდივანი; 12. ფულის გამოძალვა დანაშაულებრივი გზით; 14. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 16. კოლხეთის მითოლოგიური მეფე.

თარაზულად: 1. საღებავი ნივთიერება, რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებს; 6. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი; 7. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 9. აზიაში გავრცელებული ერთგვაროვანი მაიმუნი; 10. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 11. მარმარილოს ნატეხებისა და ფერადი კენჭებისგან შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 13. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 15. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. რაიმე ფაქტის, ამბის, ერთ-ერთი ახსნა, განმარტება; 20. ანგარიშწარმოების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა